645
1979



ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0321-1509

ნოემბერი
№ 11 1979 წ.



აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას ძეგლი ქ. სოხუმში

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნომერი ეძღვნება საბჭოთა აფხაზეთს

# აფხაზეთი, მზიური აფხაზეთი!

საერთო ინტერესებით, ერთი ჭირითა და ლხინით ცხოვრობს საქართველოს ცის ქვეშ შემტკიცებული მისი ყველა კუთხის პატიოსანი, შრომისმოყვარე ხალხი.

ამ სიმტკიცით გაუძლო მან ჟამთა სიავეს, ამ ერთობით მოიკვლევდა საუკუნეებში სავალ გზას, უმკლავდებოდა მტერს.

ამ ერთობლივი შრომითა და ბრძოლით მოვიდა ჩვენი ხალხი ახალი ცხოვრების კარიბჭესთან და აგერ, ექვსი ათეული წელია, რაც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთი მიზნით და რწმენით, ხალხთა ლენინური მეგობრობით დაკავშირებული აშენებს თავის ახალ ცხოვრებას.

საქართველოს ქალთა ჟურნალიც ამ მშენებლობაშია ჩართული და მშრომელი ქალების ინტერესებით განმსჭვალული თანაბარი სიყვარულით დასტრიალებს თავს ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხე-კუნჭულს, ყოველ ოჯახს, ყოველ ქალს — მშრომელს, დედას, დიასახლისს...

ბოლო ხანს ჩვენმა რედაქციამ ასეთი ტრადიცია დაამკვიდრა: ჟურნალის ნომერი დროგამოშვებით ეთმობა ამა თუ იმ რაიონის, ქალაქის, ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ცხოვრებას. ასე, მაგალითად: 1977 წლის № 7 მიეძღვნა საგარეჯოს რაიონის ქალებს, 1978 წლის № 8-აჭარისას, ხოლო ეს ნომერი მოუთხრობს მკითხველს აფხაზეთის ქალებზე.

ცხადია, ჟურნალი მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ თავისი მცირე ფორმატის გამო დაიტიოს რომელიმე რაიონისა და მით უმეტეს ავტონომიური რესპუბლიკის სახელოვან ქალთა პორტრეტები. მთელი მათი ცხოვრების ავ-კარგი, მაგრამ ბევრი მათგანი უკვე გავაცანით მკითხველებს, ხოლო ბევრი, უდავოა, „საქართველოს ქალის“ მომავალ ნომრებს დაგვიმშვენებს, ხოლო წინამდებარე ჟურნალის მიზანია ერთგვარ მთლიანობაში წარმოაჩინოს ჩვენი დების, დედების, შვილების — აფხაზეთის ქალების დღევანდელი დღე, გვამოგზაუროს ამ წარმტაც მხარეში.

აფხაზეთი, მზიური აფხაზეთი!

ვინ არ მოხიბლულა მისი მშვენებით! საიდან არ მოდიან მასთან: მოძმე რესპუბლიკებიდან თუ უცხოეთიდან, შორეული ჩრდილოეთიდან თუ აღმოსავლეთიდან — სამკურნალოდ თუ დასასვენებლად, გულისა და თვალის გასახარად. და ხელგაშლით ეგებებიან მათ სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ტურისტული ბაზები თუ მეგობარი ოჯახები და შემდეგ ყველას უძვირფასეს მოგონებად მიჰყვება და კვლავ თავისკენ მოუხმობს აქ ნაპოვნი და განმტკიცებული მეგობრობა, უნაპირო, ლურჯად მოლივლივე ზღვა, კრიალა ზეცა და სანაპიროზე ჩამწკრივებული პალმების ხეივანი... და ამ ზღაპრულ მიწა-წყალზე ცხოვრობს, შრომობს და იღწვის, ჰქმნის სულიერ და მატერიალურ ფასეულობას ერთ ოჯახად დასახლებული აფხაზი, ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი, ესტონელი...

გულმხურვალედ შრომობენ ბაღ-ვენახების, ველ-მინდვრების, პლანტაციების მქლავმოუღლელი დიასახლისები — მეჩაიეები, მესიმინდეები, მეთამბაქოეები, მეციტრუსეები, მეცხოველეები, მეფრინველეები...

ტრიალებენ მანქანებთან, დაზგებთან საგალანტერიო, სამკერვალო, ჩაის თუ სხვა ფაბრიკების, ქარხნების კომბინატების მუშა-პატრიოტი ქალები.

ათასობით ქალი იღვწის მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის სარბიელზე. ბავშვთა აღზრდის, ჯანმრთელობის, კულტურის, ვაჭრობის, კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა დაწესებულებების ქსელში.



ბიჭვინთის შემოქმედებითი სახლი.

ამ შრომით და გარჯით, თავისი ქმრის, ძმის, მამის, შვილების მხარდამხარ იმარჯვებს იგი სოციალისტურ შეჯიბრებაშ ძი, ასრულებს სახელმწიფო გეგმებს, ამრავლებს დოვლათს და ამშვენებს სოფლებსა და ქალაქებს.

ამ შრომითა და გარჯით მოიპოვა აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აფხაზეთის ცხოვრება, მისი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ყოველი ეტაპი ასახულია საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყველა ფორუმის გადაწყვეტილებაში.

განსაკუთრებით დიდია მნიშვნელობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის 1978 წლის დადგენილებებისა „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

ამ დადგენილებების თანმიმდევრული განხორციელების ერთ-ერთი მაჩვენებელია სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა ქ. სოხუმში, მოძრავი სატელევიზიო სადგური, საგზაო და სხვადასხვა მშენებლობანი.



გაგრა. სანატორიუმი „გაგრა".



სოხუმი. გემი „შოთა რუსთაველი".

წინ დიდი გზაა, დიდი პერსპექტივები: ქალაქებისა და სოფლების სოციალურ-კულტურული მშენებლობანი, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდგომი განვითარება, ადამიანთა კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება.., და კვლავაც ამ დიდებული პერსპექტივების განხორციელებაში ღირსეულ წვლილს შეიტანენ აფხაზეთის ქალები და ხელდამშვენებული შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავს, XXVI პარტყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავს.

ქალი-მშრომელი, ოჯახის დედა, სიცოცხლის შემოქმედი ქვეყნის დიდი ძალაა, დიდი საყრდენი. იგი ჩვენში ტრადიციულად ითვლებოდა და ითვლება ოჯახისა და ქვეყნის სახელისა და ღირსების დამცველად. და როგორც ყოველთვის, მისი მოვალეობა კი არა, სასიცოცხლო დანიშნულებაა, ბრძოლა ჩვენი სამშობლოს სიმტკიცისა და ძლიერებისათვის, შვილების აღზრდა შრომის, პატიოსნების, კაცთმოყვარეობის პრინციპებზე, ხალხთა მეგობრობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ამ დიდ სამომავლო და საქვეყნო საქმიანობაში გამარჯვებას უსურვებს აფხაზეთის ქალებს მათი და და მეგობარი „საქართველოს ქალი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!



**თამარ კოლონია,**
აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი.

„ყველაფერი ბავშვობიდან იწყება“; — ასე მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა პლანეტის ბავშვებს „არტეკში“ ბავშვთა საერთაშორისო დღესასწაულზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონტინენტის 73 ქვეყნის წარმომადგენლები. ამ მიმართვაში ხაზგასმული იყო ის დიდი ზრუნვა, რომელსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

დღევანდელი ჩვენი პატარები ხვალინდელი მუშები, ინჟინრები, მინისტრები არიან. მათ ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ, შთავაგონოთ, რომ ჩვენი პლანეტის მომავალი მათს ხელშია, უფროსები გადავცემთ ყოველივე საუკეთესოს, რაც შეგვიქმნია და შეგვიძენია.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვები ერთადერთი „პრივილეგიური კლასია“. ჩვენი პარტია და მთავრობა არ იშურებენ არავითარ სახსრებს ბავშვთა და დედათა ჯანმრთელობის დაცვისათვის, მოზარდი თაობის ტალანტის სრულყოფისა და განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ხაზგასმით არის აღნიშნული დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, მომავალი თაობის აღზრდისა და განვითარებისათვის ზრუნვა.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს საგანგებო დადგენილება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა ბავშვის წლის აღნიშვნის ღონისძიებათა გეგმები. ამ გეგმების შესაბამისად აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ დასახა ღონისძიებები ბავშვთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის სრულყოფისათვის.

ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში ორასამდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, სადაც 14 ათასი ბავშვი იზრდება. 1979 წელს 16 საბავშვო ბაღი აშენდა. მათგან 8 (610 ბავშვისათვის) უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით კიდევ სამი საბავშვო ბაღის გახსნაა გათვალისწინებული.

ზაფხულის პერიოდში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ეწყობა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელშიც შარშან 8744 ბავშვი იყო ჩაბმული, მათ შორის — 546 გაყვანილი იყო აგარაკებზე, ხოლო 8198 ადგილზე ისვენებდა. ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში სულ 372 სკოლაა, რომლებშიც 90 ათასი მოსწავლე სწავლობს, თუ მეცხრე ხუთწლედში აშენდა სკოლის შენობები 11.238 მოსწავლისათვის, მარტო 1979 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სკოლები 3252 მოსწავლისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის 8 ათასი მასწავლებლიდან 400-ს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

დღეისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (სკოლების 73,7 პროცენტი) დღის განყოფილებებზე განხორციელებულია მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და საერთო საზოგადოებრივი სასარგებლო შრომისათვის მომზადება.

ამ მიზნით მე-9— მე-10 კლასების მოსწავლეები გადიან შრომითს სწავლებას საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში, სასკოლო სახელოსნოებში, ლაბორატორიებსა და კაბინეტებში.

უკანასკნელ წლებში ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა სპორტული ბაზა. დღეისათვის აფხაზეთის 15 სპორტულ სკოლაში 4.249 სპორტსმენი მეცადინეობს. მათ შორის 2827 თანრიგოსანია, გარდა ამისა, ქალაქის საშუალო სკოლებთან შექმნილია სპეციალიზებული კლასები, სადაც 177 სპორტსმენი მეცადინეობს.

სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიზნით, ქალაქებსა და რაიონებში მოეწყო მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადები. ბავშვთა ხელოვნების სრულყოფისადმი მიძღვნილ ამ დიდ დღესასწაულში 62 საგუნდო, ქორეოგრაფიული, საოპერო, დრამატული, თოჯინების, ვოკალურ-ინსტრუმენტული კოლექტივის 4 ათასზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა.

„დაე მუდამ იყოს მზე“ — ამ დევიზით დაწყებული ეს ოლიმპიადები გადაძახილი გახდა ფესტივალისა, რომელიც ჩატარდა დევიზით: „თუკი ხელიხელჩაკიდებულნი ვიქნებით, ბედნიერებას დავამკვიდრებთ დედამიწაზე“.

ბავშვთა შემოქმედებას, მათ სიმღერებს, ლექსებს, ნახატებს რომ ეცნობით, ივსებით უდიდესი სიამაყის გრძნობით, რომ ჩვენს სამშობლოს საიმედო მომავალი ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა.

# სამოცდამეხუთე...

ზ. ანჩაბაძე
აფხაზეთის ასსრ-ს გორკის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

საბჭოთა ქვეყნის სამოცდამეხუთე უნივერსიტეტი ახლახან დაარსდა, მაგრამ მის აუდიტორიებსა და კაბინეტებში მთელი ძალით მჩქეფარებს სამეცნიერო და სტუდენტური ცხოვრება. აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ნაბიჯი აუწყო უფროს ძმებს. მისი დაბადება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დიდმნიშვნელოვანი დადგენილების ცხოვრებაში გატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია.

სწავლებისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის და ეფექტიანობის ამაღლება, ჭეშმარიტად სპეტაკი, მორალური და მოქალაქეობრივი თვისებებით აღჭურვილი, მტკიცე მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, პროფესიულად კომპეტენტური სპეციალისტების მომზადება, პარტიის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის აქტიური მებრძოლების, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტებისა და სოციალისტური სამშობლოს პატრიოტების, კომუნიზმის იდეალების ბოლომდე ერთგულთა აღზრდა — ასეთია ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა უნივერსიტეტის ამოცანები.

რამდენიმე წლის შემდეგ სოხუმში აიგება დიდი საუნივერსიტეტო კომპლექსი, რომელიც ორმოცამდე ჰექტარზე გაიშლება. 24 ჰექტარ ფართობს დაიჭერს სასწავლო კორპუსები, რომელთა უახლესი ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში 5 ათასი სტუდენტი დაეუფლება მეცნიერების საფუძვლებს, 9 ჰექტარზე აშენდება საცხოვრებელი, 7 ჰექტარზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ნაგებობები. მშენებლობა დაიწყება 1200 სტუდენტისათვის გამიზნული მთავარი სასწავლო-ლაბორატორიული კორპუსის საძირკვლის ჩაყრით. პირველი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილი 5 მილიონი მანეთის დანარჩენი ნაწილი მოხმარდება 800-ადგილიანი საერთო საცხოვრებლისა და 90-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგებას.

ყოველივე ეს 5-6 წლის შემდეგ მოხდება. დღეს კი უნივერსიტეტში 2.800 სტუდენტი იღებს უმაღლეს განათლებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 5 თებერვლის დადგენილებით, სოხუმის პედინსტიტუტის ბაზაზე შექმნილმა უნივერსიტეტმა შეინარჩუნა პედაგოგიური ინსტიტუტის ფუნქციებიც და აქ ისწავლება: დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, ზოგად-ტექნიკური დისციპლინები და შრომა, ფიზიკური აღზრდა. სწავლება ოთხწლიანია და პედაგოგიური ინსტიტუტის პროგრამით მიმდინარეობს. გაისად ცალკე ფაკულტეტად გამოიყოფა ისტორია-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ეკონომიკური განყოფილება, ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტს დაემატება ქიმიის სპეციალობა, მომავალში გათვალისწინებულია ახალი ფაკულტეტის გახსნა, მათ შორის შესაძლებელია სამედიცინო ფაკულტეტიც გაიხსნას.

უნივერსიტეტი ავტონომიურ რესპუბლიკას მოუმზადებს ათობით დარგის მაღალი კვალიფიციის სპეციალისტებს, რომელნიც აქტიურად და უნარიანად ჩაებმებიან აფხაზეთის მშრომელთა შრომით საქმიანობაში.

ამ დიდი ამოცანების განხორციელებაში ახალბედა უნივერსიტეტი მთელი საბჭოთა ქვეყნის ძმურ დახმარებასა და ზრუნვას გრძნობს. თანადგომისა და მხარდაჭერის მკაფიო მაგალითია ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, აგრეთვე ტარტუს, ლენინგრადისა და დონის-როსტოვის უნივერსიტეტებმა პირველივე დღეებიდან გაუწოდეს მას მეგობრობის ხელი და დღეს კათედრიდან მათი წარმომადგენლების ხმებიც ისმის.

უნივერსიტეტის კედლებში ერთსულოვნად იღვწის მრავალეროვანი და მეგობრული კოლექტივი. კაცების მხარდამხარ ჩვენი სახელოვანი ქალებიც საქმიანობენ. სამოცდახუთი პედაგოგი ქალი გადასცემს ცოდნას ახალ თაობას, მათ შორის არიან: რუსული ენის კათედრის გამგე პროფესორი გ. ფირცხალავა, მეცნიერებათა კანდიდატები: ე. შამბა, ე. კაკაბაძე, ფ. გალუსტიანი, ლ. ლოზოვაია, ე. შაკრილი, რ. შვეცოვა, ლ. არგუნი და სხვ.

სამეცნიერო ხარისხის მქონე ქალთა რიცხვი 20-ს აღემატება. მათ მალე შეემატება მეცნიერ ქალთა ახალი ნაკადი, მეცნიერების საფუძვლებს ეუფლება 1200-ზე მეტი სტუდენტი გოგონა. მათ შორის არიან: ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, პროფკავშირის სახელობის სტიპენდიანტი ე. კობახია, ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, დ. გულიას სახელობის სტიპენდიანტი ე. ხაგბა, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები ა. გიცბა, ნ. კვანტალიანი, ბიოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები ი. გვაზავა, ნ. კვეკვესკირი, ქ. ჩოხუა და სხვები.

რამდენიმე თვის წინათ პირველად შეაღეს უნივერსიტეტის კარი ახალბედა სტუდენტებმა. გვჯერა, რომ მათგან ბევრი ასახელებს მშობლიურ სასწავლებელს. ისინი აფხაზეთის მეცნიერ ქალთა რიცხვს შეემატებიან და თავიანთ წვლილს შეიტანენ იმ დიდი ამოცანის განხორციელებაში, რომელსაც პარტია და მთავრობა სახავს უნივერსიტეტის წინაშე; ქვეყანას მოუმზადებენ სპეციალისტებს, სპეტაკი სულის ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდიას საქვეყნოდ ცნობილი რომანი „მთვარის მოტაცება“ მარად და მარად იმსახურებს მკითხველის აღტაცებას. წარმტაცი კოლხეთი, მისი მშვენიერი ადამიანები, აფხაზეთის და სამეგრელოს გამრჯე, კეთილშობილი მკვიდრნი, მათი საუკუნეობით განმტკიცებული კეთილი ურთიერთობა,—აი, რა ხიბლავს რომანის მკითხველს. ძიძიშვილების — თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას სახეები წარუშლელად რჩება მკითხველის მეხსიერებაში. ვბეჭდავთ დიდებული რომანის ნაწყვეტს.

# მთვარის მოტაცება

* * *

... უკვე ჯარობაში — ოსხაპუეში გამოდიან ბიჭუნები. განსაკუთრებით თარაშს უყვარდა ოსხაპუე. იქ ხინტკირიას თამაშობდნენ ახლად მოჩიტული სოფლის ტოლბიჭები.

ხინტკირია ოდიშურ-აფხაზური დუელის უძველესი ნაშთია, ან უკვე თამაშად ქცეული.

გალმა-გამოღმა დამსხდარი ქალ-ვაჟის წრეში გამოდის ორი სატევრიანი ვაჟი, მეტწილად რომელიმე თვალჟუჟუნას გამო ხუმრობით მოქიშპე. ორივეს ჩაბალახით თვალებს აუხვევს, მესამე — სატევრიანი ვაჟი. ერთ მათგანს სატევარი ქარქაშში აქვს ჩაგებული. შუაში გახლეჩილ მასრებს ჩოხისას მისცემენ ხელში, ესპანური კასტანიეტის მსგავსად მორიკრიკეს. მეორეს გაშიშვლებული სატევარი უჭირავს ხელში.

მასრებიანი დაბორიალობს წრეში, მასრებს არიკრიკებს და იძახის „ხინტკირია“, ირგვლივ დამსხდარნი ქალ-ვაჟნიც აჰყვებიან და ყველანი ერთობლივად იძახიან: „ხინტკირია, ხინტკირია“. მასრებიანი ადგილს იცვლის. ამასობაში სატევარმოღერებული უმწეოდ დაბოტებს და მასრებიანს ეძებს. სცდილობს მოპირდაპირის ხმა გამოიცნოს. გაიგონებს თუ არა მის ხმას, ისევ გაეშურება. ეს უკანასკნელი ისევ გაინაბება, ხელიდან გაუძვრება მოპირდაპირეს, ისევ დაიძახებს „ხინტკირია“-ს და ისევ შეიცვლის ადგილს.

აჰა, მოიმწყვდია მოპირდაპირე კუთხეში მასრებიანი სატევრიანმა, სატევარი პირდაპირ მიუღირა, მაშინ იგიც იძრობს სატევარს და გაიმართება კენწლაობა მათ შორის. მოვა მესამე, მონესე. თავისი სატევრით აწესრიგებს მოპირდაპირეთა ფარიკაობას. უკეთუ რომელიმე გაიკაწრა, ან თუ სატევარი გაუვარდა ხელიდან, მას გახლეჩილ მასრებს მისცემენ ხელში და ახლა მან უნდა ირბინოს და დამარცხებულმა „ხინტკირია“ იძახოს. მიეჩვიენ ამ თამაშს თარაში და არზაყანი. ყველგან ფარიკაობდნენ, როცა ცხენებს აძოვებდნენ ტყეში, ან წისქვილის კარზე თავიანთი საფქვავის ჯერის მოლოდინში, ეზოში, კაკლის ძირას და სახლის ლაფაროში. კაც ზვამბაია უშლიდა, ორივეს ტუქსავდა, მაგრამ ამაოდ, განსაკუთრებით თარაშ ემხვარს უყვარდა ამნაირად ფარიკაობა.

თარაშს ყოველივე ეპატიებოდა ოჯახში, ამიტომაც ზედმეტ იჭვიანობას იჩენდა არზაყან. წლების განმავლობაში გულში დაგუბებულმა იჭვნეულობამ იფეთქა ერთხელაც, არზაყანმა ამგვარი ფარიკაობის დროს ხუმრობით დასჭრა თარაში მარცხენა მკლავში და ამის შემდეგ ორივეს წაართვა სატევარი კაც ზვამბაიამ და ხინტკირიას თამაში სამუდამოდ აუკრძალა.

* * *

მოვა ხელხვავიანი შემოდგომა, ქარვასა და ძოწს ათოვს ქვეყანას ალამგაშლილი მზე.

და კაც ზვამბაია ღომის, პურის, ფეტვის და სიმინდის ცომისაგან საჭმელს გააკეთებინებს ძიძას, საჭმელს გრძელ ტაბაკზე დააგებინებს. თავათ ქუდს მოიხდის და მადლობას მოახსენებს ნაყოფიერების ღმერთს — ჯაჯის.

ახალი წელი ახლოვდება და ბავშვებს სიხარულისაგან გრძლად ეჩვენებათ დეკემბრის ხანმოკლე დღეები.

დადგება ახალი წელი და ძიძა ლორიან ქადებს გამოაცხობს. ცალკერძ ძიძა და ძაბული დაჯდებიან და ცალკერძ თარაში. მორდუ და არზაყანი (თარაშს მუდამ სუფრისთავზე სვამენ, საუკეთესო აკვაკვარს მისთვის აცხობენ, ქათმის კურტუმოც მისია, კუჭიც და ფილტვიც. არზაყანს შურს, მაგრამ იბუტება და სდუმს).

* * *

კერაზე ფოთლოვან სუროს წკნელს დააგდებენ. გალმა და გამოღმა დამსხდარნი თვალს ადევნებენ, თუ როდის გადაინევება სუროს წნელი.

ძაბულის და არზაყანს ადგილს დაუნიშნავენ. როგორც კი წკნელი გადაიწვება, ამ ადგილამდის რბენით უნდა მიასწროს ერთ-ერთმა.

გადაიწვება თუ არ წკნელი, ნახევარს არზაყანი წამოავლებს ხელს, ნახევარს ძაბული, ერთი მათგანი წინა კარიდან გამოვარდება, მეორე უკანა კარიდან. ვინც ფაცხას შემოურბენს და შინ შემოასწრებს, იგი კარს ჩაჰკეტს და გარეთ დარჩენილს შინ არ შემოუშვებს.

ნასადილევს ძიძა „კირუ კარუს“ ამზადებს.

კირუ კარუ ეს პატარა გომიჯებია. ყურძნის მტევნისა, ხელწისქვილის გელაზისა, ბარის, ჩამურისა, ღორისა, და კრუხის გამომხატველი. კრუხის მოდელს ქათმის ფრთით ხერტენ, თანაც ყველანი ერთხმად მღერიან:

„თეთრო ქათამო, ქათამო,
თეთრო ქათამო, ღვთისაო,
ორი ათასი ჩვენს სახლში
და კენტი კვერცხი სხვისაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი თარბა

## საქართველოს

მე მიყვარს შენი დიდი წარსული,
მე მიყვარს შენი დღეცა და ხვალეც,
ხარ უკვდავების ქიმზე ასული
შენ — რუსთაველის მშობელო მხარევ!

მე შენს სიმაღლეს აქედან ვხედავ,
რამ წამომართა მთები ამხელა...
მიყვარხარ, რომ ხარ გმირების დედა
და საქართველო გქვია სახელად.

მე მიყვარს,
მიყვარს მთაწმინდა შენი, —
ჩაუქრობ სულთა წმინდა საუფლო..,
ბარათაშვილი ღვთაებრივ ენით
ლოცულობს შენზე.
შენთან საუბრობს.

ქრის მთაწმინდაზე ნიავი ნელი, —
გრიბოედოვის სუნთქვაა თითქოს,
და ცვარი — ნინოს ობოლი ცრემლი
კანკალებს,
თითქოს შეშრობას ითხოვს...

ამაღლდა შენი ლაჟვარდის ჭერი
მწუხრმა შენი ცა ველარ დანისლა
და მხრებგაშლილი მიაბიჯებენ
შთამომავალნი ამირანისა.

ო, საქართველოვ!
მზითა ხარ სავსე,
ამაღლებული შენა ხარ ფიქრი,
და უკვდავების შორეულ გზაზე
ბარათაშვილის მერანიც მიქრის.

ო, საქართველოვ,
სიმღერავ სულის,
ო, საქართველოვ,
სინათლევ თვალის,
აფხაზეთივით გაშლილი გულით
გიმღერი ერთი აფხაზი ქალი.



## წისქვილი

სტალინგრადის ქედუხრელობის უტყუარი მოწმეა წისქვილი, რომელიც დიდი სამამულო ომის დღეებში დაინგრა. აქ დიდი ბრძოლები გადაიხადეს ჩვენმა მეომრებმა და მტერს მრავალგზის აგემეს მომაკვდინებელი დარტყმები. ნანგრევი ახლა შემონახულია, როგორც ისტორიული ძეგლი.

სიკვდილის ქარი ჩაღგა წყეული,
ვარ ახლა დიდი ამბის მთხრობელი:
დგას აქ წისქვილი მკერდჩანგრეული,
გულშემზარავი, ვით საფრთხობელა.
დღენი წარსულნი თვალებს ახელენ,
სულს სწყურის მძაფრი კივილი თითქოს,
გარს არტყას წისქვილს თეთრი სახლები,
წყლულივით მოჩანს შუაში თვითონ.
შორი გზა მოვვლე და აქ მოვედი,
აქაც ვიხილე მშობელი მიწა,
გაქვავებულა ექო ბრძოლების,
რომელიც შემდეგ წისქვილად იქცა...
გზა მეწამული მიცურავს ცისკენ,
ომის ნაკვალევს — ვდგავარ და ვუმზერ,
და ჩანს ნანგრევი ქალაქში ისე,
როგორც ჭრილობა მეომრის შუბლზე.

# სამა-მულო ომის გზებ-ზე...

„წყეული იყოს მტერი,
მან აიძულა ხალხი, ღია
ცისქვეშ ათენოს ღამე“

ნიკოლოზ სუზოტინი,
ტანკისტი.

ამ 37 წლის მანძილზე ხაფიზისეული სახლი შეეჩვია სტუმრებს. დღეს ამ ეზოკარში 60 წლის წინანდელი ფუსფუსია. მაშინ ოჯახის უფროსი ხაფიზ ავიძბა ეგებებოდა მოსულთ. მხიარული, ბედნიერი მამა ხუმრობით ათამამებდა მორიდებით მომლოცველ ახლობლებს... ვაჟის მომლოდინე ხაფიზს ტყუპი გოგონები შესძენოდა...

ხაჯერა და მერი... ასე დაანათლეს ახალშობილებს. მას შემდეგ ექვსმა ათეულმა წელმა განვლო.

დღეს მერი ავიძბა პირველი აფხაზი მფრინავი ქალია, 477 საბრძოლო გაფრენის მონაწილე, 477-ჯერ სიკვდილის პირისპირ მდგარი, თითქმის მკვდრეთით აღმდგარი.



მერი ავიძბა. ქ. სოხუმის მეათე საშუალო სკოლის პედაგოგთა შორის.

დებმა სკოლის დამთავრების შემდეგ მუსიკალური სასწავლებელი აირჩიეს.

იქნებ მუსიკის ტკბილმა ჰანგებმა ალუძრა მერის თვალუწვდენელ სივრცეში განავარდების სურვილი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 30-ნი წლების მოწოდების „კომკავშირო, თვითმფრინავზე“ — საპასუხოდ მერი კომკავშირული საგზურით წავიდა როსტოვში ბატაისკის საფრენოსნო სკოლაში. პირველმა სასწავლო გაფრენამ, საფრენოსნო სკოლის კურსდამთავრებულ გოგონასთან მშობლიური ქალაქის ალტაცებულმა შეხვედრამ უფრო დიდ ოცნებას შეასხა ფრთები. 1939 წელს მერი ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის მსმენელი გახდა.

1941 წელს ლენინგრადს ომის მძიმე დღეები დაუდგა. გაზეთმა „ლენინგრადსკაია პრავდამ“ მოწოდებით მიმართა ყველა ლენინგრადელს, როგორც ერთი, აღმდგარიყვნენ ქალაქის გადასარჩენად. მერიმ მოხალისედ ითხოვა წასვლა. თანხმობაც მალე მიიღო.

ძნელია მიჰყვე ომგამოვლილის ფრონტულ გზას. მერიმ თავისი თვითმფრინავით ბრძოლით გადაიარა ყუბანი, ქერჩი, მოზდოკი, ნოვოროსიისკი, სევასტოპოლი, პოლონეთი.

მერის უკვირს, როცა ეკითხებიან, რატომ ნახვედით რისკზე ქალი, რად აირჩიე ცა, როცა მედიცინის მუშაკს ხმელეთზეც შეგეძლო სამსახურიო. ომი ცასა და მიწაზე ერთნაირი იყო. ომი სახალხო იყო და ქალისა და კაცის უფლებებზე ლაპარაკი უხერხულიც იქნებოდა.

თუმცა მერი ერთხანს როსტოვ-სოხუმის მიმართულებით ევაკუირებულ დაჭრილებსაც უწევდა სამედიცინო დახმარებას.

ტამანის 46-ე წითელდროშოვანი ქალთა საავიაციო პოლკის შტურმანი მერი ავიძბა მტრის რისხვა გახდა...

ტრაგედია დატრიალდა ზღვისპირა ქალაქში. სოხუმს თბომავალი მოადგა ევაკუირებული ბავშვებით. ქალაქში მათ შესახვედრად ემზადებოდნენ. მოყვრის კარზე მოსულ პატარებს მტერმა ციდან დაუშინა. მშვიდობიან ხმელეთს დანატრებული ბავშვებით სავსე თბომავალი ჩაიძირა.

— ეს საზარელი ამბავი ახლობლებისაგან წერილით შევიტყვე. მინახავს შიშისაგან გაფითრებული ლენინგრადელი ბავშვების სახეები სიცოცხლის ფასად გვიჯდებოდა მათი ევაკუირება. ვერაგმა კი სამშვიდობოზე გასულნი ჩემს ქალაქში ამოხოცა. შურისძიებამ ამავსო...

იმ ღამეს მერი ავიძბას ეკიპაჟი სამჯერ გავიდა საბრძოლველად. სამჯერვე მტერს დიდი ზარალი არგუნა. მეორე დღეს ფრონტულ გაზეთში გამოქვეყნდა ნარკვევი აფხაზი გოგონას მამაცობაზე.

1943 წელს ქერჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა მერის ერთადერთი ძმა — შალი ავიძბა.

მწუხარებამ უფრო გაამძაფრა ბრძოლის წყურვილი. მერიმ მტერს თვითმფრინავით საკუთარ ბუნაგამდე სდია.

ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზებული მერი შვიდ წელიწადს ხერხემლის მძიმე დაზიანების გამო სარეცელს იყო მიჯაჭვული. დიდმა ნებისყოფამ კვლავ სძლია ფიზიკურ ტკივილებს. იგი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მშვიდობიანი ცხოვრების ჯარისკაცი გახდა.

ომში გამოჩენილი მამაცობისათვის მერი ავიძბა დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, 7 მედლით...

...ხიფიზისეულ სახლში დღეს კვლავ ერთად ცხოვრობენ დები. ტრადიციული სტუმრობა დღესაც გრძელდება. მერი იუბილარია, 60 წლისანი გახდნენ ტყუპები. მერი უცნობს თუ ნაცნობს კეთილი ღიმილით ხვდება. და აი, ჩვენც მერის სტუმრები ვართ. ვინაობა გავაცანით, მერი სიცილით შლის ხელებს:

— აი, ამიტომ ვამბობ, ჩემთვის ომი ჯერ არ დამთავრებულა მეთქი! მერი ერთი შეხედვით მკაცრი ჩანს, მაგრამ ტკბილი და კაცთმოყვარეა. როცა მასთან ვსაუბრობდით, კარმა ნელა გაიჭრიალა. პატარა ბიჭუნამ თავი შემოყო. ეტყობოდა კედელ-კედელ ეარა, სანამ კარამდე მოაღწევდა.

— შემოდი, შალო, შემოდი! — შეათამამა მერიმ.

პატარამ გაუბედავი ნაბიჯი გადმოდგა ზღურბლზე.

— შალო ხაჯარას შვილიშვილია, ჩემი ძმის სახელი დავარქვით. შალოს შვილიშვილსაც შალო ჰქვია. ჩემი შალო 27 წლისა დაიღუპა...

დამშვიდობებისას მერის ხაფიზისეული ფუძის დღეგრძელობა. 100 წლის იუბილეზეც მხნედ ყოფნა ვუსურვეთ.

— ალბათ მაშინ უფრო მეტი მოსაგონარი გვექნება.

— ეს ომი მხოლოდ მოსაგონებლად გვქონდეს! — აფხაზი ქალის გულმხურვალებით შემოგვაგება მასპინძელმა.

ხათუნა გოგუა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი საერთაშორისო რეზონანსი

გვესაუბრება ეთერ ჯიქიძე,
სსრკ მედიცინის მეცნიერებთა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი მსოფლიოში ცნობილია თავისი მაიმუნსაშენით, სადაც 2.550 აფრიკული და აზიური სახეობის მაიმუნია თავმოყრილი. მაიმუნების მეტი წილი აქ, სოხუმში დაიბადა, რაც ერთ-ერთი დიდი პრობლემის — მაიმუნთა აკლიმატიზაციისა და გამრავლების პრობლემის დადებითად გადაწყვეტაზე მეტყველებს. ახალ კლიმატურ ზონებში მაიმუნთა აკლიმატიზაციასა და გამრავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მაიმუნთსაშენებში და ნაკრძალებში მაიმუნთა გამრავლება, ექსპერიმენტული მედიცინისა და ბიოლოგიის სულ უფრო მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მე ვერ დავასახელებ ადამიანის ვერცერთ ინფექციურ დაავადებას, რომლითაც არ შეიძლებოდეს მაიმუნის დასნებოვნება.

ძირითად პრობლემად დღეს მიჩნეულია მაიმუნის საშუალებით ავთვისებიანი სიმსივნეების, უპირველეს ყოვლისა, ლეიკოზების გამომწვევი მიზეზების შესწავლა. ექსპერიმენტები ტარდება ონკოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლელიტა იაკოვლევა ხელმძღვანელობს. ლაბორატორიას დიდი მიღწევები აქვს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ორი სახეობის მაიმუნების დაავადების შედეგად მიღებულია ლეიკოზის მოდელი და დადგენილია ლეიკოზის ვირუსული წარმოშობა.

აკადემიკოს ბორის ლაპინის ხელმძღვანელობით იკვლევენ ადამიანის ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოშობის მიზეზებსა და მათს განვითარებაში ვირუსების როლს. დღეს მიღებული და შესწავლილია ექსპერიმენტული ლეიკოზი მაიმუნის ორ სახეობაზე, დადგენილია ამ ლეიკოზების ასოცირება სამი სხვადასხვა სახეობის ვირუსთან. შესწავლილია ამ ვირუსების მოლეკულურ-ბიოლოგიური თავისებურებები, მათი მორფოლოგია, იმუნოლოგია. დიდი ყურადღება ექცევა ავთვისებიან სიმსივნეთა ეპიდემიოლოგიის შესწავლას.

ინსტიტუტი ფართოდ იკვლევს ადამიანთა ინფექციურ დაავადებებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი პროფილაქტიკური საშუალებების გამოცდას მაიმუნებზე და ამ პრეპარატების უვნებლობისა და ეფექტიანობის დადგენას. ამას ვიკვლევთ ინფექციური პათოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

ჩვენს ლაბორატორიაში მეცნიერი მუშაკები საინტერესო გამოკვლევებსა და პრაქტიკულ ცდებს ატარებენ მაიმუნებზე. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჩვენ, გდრ-ის იენის მიკრობიოლოგიისა და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტთან ერთად, კუჭნაწლავთა ინფექციური დაავადებების გარდა, ინტენსიურად ვსწავლობთ სტრეპტოკოკურ ინფექციებს, რომელთა შედეგად წარმოიშობა ადამიანის სხვადასხვა ორგანოთა დაავადება. ამ პრობლემებზე ერთობლივად ვმუშაობთ იენის აღნიშნული ინსტიტუტის პროფესორ ვ. კელერთან ერთად.

ლაბორატორიაში წარმატებით შეისწავლით აგრეთვე მიკროორგანიზმების ახალი ჯგუფის — მიკროპლაზმების როლს ადამიანებისა და მაიმუნების პათოლოგიაში.

დიდი მნიშვნელობის ექსპერიმენტები ტარდება ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის განყოფილებაში, რომელიც შეისწავლის მაიმუნებზე უმაღლეს ნერვულ მოქმედებას, ემოციებს, ემოციურ სტრესს, ნევროზებს და მათს ნიადაგზე აღმოცენებულ პათოლოგიას.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენმა ინსტიტუტმა დიდი ხანია საერთაშორისო რეზონანსი და ავტორიტეტი მოიპოვა. მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები გვაქვს გდრ-ის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების მეცნიერებთან, ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ წლეულს ლეიკოზისა და მასთან ახლო მყოფი დაავადებების შესასწავლად სოხუმში დიდი წარმომადგენლობითი საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა. საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ბ. ლაპინი. სიმპოზიუმში 400-მდე საზღვარგარეთელი მეცნიერი მონაწილეობდა.

საუბარი ჩაიწერა რ. კუპრავამ.



# ბედნიერი ვარ...



ბუმბერაზი კავკასიონის მთების ძირას გადაშლილია ჩემი ლამაზი სოფელი თხინა. იგი ოჩამჩირის რაიონშია, ჩვენს სოფელში მისდევენ მესიმინდეობას, მეტუნგეობას, მეაბრეშუმეობას, მეცხოველეობას, მაგრამ ძირითადი დარგია მეჩაიეობა.

ჩაის პლანტაციებს ჩვენი სავარგულების უდიდესი ნაწილი უჭირავს და კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

დედა მეჩაიე მყავდა. პატარაობისას ხშირად დავყვებოდი პლანტაციაში, ვეხმარებოდი ჩაის ფოთლის კრეფაში. თანდათან ხელი გავიწაფე. შემიყვარდა ეს საქმიანობა.

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია, ჩაის პლანტაციას მივაშურე, 0,8 ჰექტარი ნაკვეთი გავიპიროვნე, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავები ერთ-ერთ საუკეთესო მეჩაიესთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან რაისა ჭოლოკავასთან. სეზონისათვის ყოველთვის საგულდაგულოდ ვამზადებდი ნაკვეთს. კარგად მოვლილ პლანტაციაში, რა თქმა უნდა, მოსავალიც უკეთესი იქნება.

ყოველთვის ვცდილობდი, რაც შეიძლება სწრაფად და ხარისხიანად მეკრიფა. პირველ წლებში სეზონის მანძილზე მხოლოდ 3-4 ტონას ვკრეფდი. მერე და მერე შედეგი გავაუმჯობესე.

მნიშვნელოვან შედეგს მივაღწიე 1974 წელს — მოვკრიფე 5,5 ტონა მწვანე ოქრო", რისთვისაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ნიშანი მოვიპოვე, 1977 წელს 7 ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფე, ამ წარმატებისათვის „შრომის დიდების" მე-3 ხარისხის ორდენით დამაჯილდოვეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ნიშანიც გადმომცეს. შარშან კი 18 ტონა ჩაის ფოთოლი ჩავაბარე სამშობლოს.

შრომითი წარმატებისათვის 1979 წლის იანვარში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მომენიჭა. წლეულს მარტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს.

საპატიო ჯილდოებმა, ხალხის, პარტიისა და მთავრობის დაფასებამ და აღიარებამ აღმაფრთოვანა ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის. წლეულს უფრო ენერგიულად ვმუშაობ. აგვისტოს ბოლოსათვის მოკრეფილი მქონდა 10 ტონა „მწვანე ოქრო", სეზონის ბოლომდე კიდევ მოვკრიფე 3 ტონა. გეგმით გათვალისწინებული 13 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ნაცვლად 32 კილოგრამი ჩავაბარე.

უკანასკნელ წლებში ჩვენი კოლმეურნეობა მოღონიერდა. წლითიწლობით იზრდება ჩაის საერთო წარმოება, საჰექტარო მოსავლიანობა, მაგალითად, თუ კოლმეურნეობამ 1977 წელს 1.140 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი აწარმოა, წლეულს 1,300 ტონას გადააჭარბა, ხოლო საჰექტარო მოსავლიანობა 11,2 ტონამდე ავიდა. განუხრელად იზრდება კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი. შარშან მან 980 000 მანეთს მიაღწია, ხოლო წლეულს 1 მილიონს გადააჭარბებს. დიდად ამაღლდა კოლმეურნეთა საშუალო თვიური გამომუშავება, საერთოდ, სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა.

მოხარული ვარ, რომ მშობლიური სოფლის ეს სასიკეთო ძვრები, გარდაქმნები ჩემს თვალწინ მოხდა, რომ მათში ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის.

სამი შვილი მყავს. ვცდილობ, სამივე აღვზარდო ნამდვილ მოქალაქეებად, საბჭოთა სამშობლოს პატრიოტ-ინტერნაციონალისტებად.

შრომაა ჩემი სიხარული. გული სავსე მაქვს ოჯახის, ქმარშვილის სიყვარულით. მოვიპოვე ხალხის დაფასება, აღიარება. ნამდვილად ბედნიერი ვარ.

ყოველივე ამას ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ვუმადლი, რომელმაც საშუალება მომცა ცხოვრების ფართო გზაზე გამოვსულიყავი, აქტიური მონაწილეობა მიმეღო სახალხო დოვლათის სიუხვის შექმნაშიც და ქვეყნის მართვა-გამგეობაშიც.

გუნდა ბიგვავა,
ოჩამჩირის რაიონის თხინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშკა პაპასკირი



# ხაბახვის ფონი

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

## მოთხრობა

დაკონკილ ქურქში გახვეული მოხუცი ხაბახვი კერიასთან იჯდა, ნაღვლიანი თვალები ცეცხლისათვის მიეპყრო, თითქოს თავისი მწარე ფიქრების პასუხის ამოკითხვას ლამობსო.

ნედლ ჭირკვებს ალი არ ეკიდებოდა და ხრჩოლავდა. ფაცხა კვამლით იყო სავსე.

მოხუცმა ყალიონი გააწყო, ნაკვერჩხალი გამოჩხრიკა, თამბაქოს დაადო და თითი დააჭირა... მოქაჩა. უეცრად ხველა აუტყდა, კაცი იფიქრებდა, საცაა დაახრჩობსო. მაგრამ როგორც იქნა, სული მოითქვა, ნაცარში გადააფურთხა და ამოიოხრა.

გარეთ ციოდა, ყინულლავდა, მაგრამ ფაცხის კარი ღია იყო, რადგან ის ფანჯრის მაგივრობასაც ასრულებდა.

კარებთან ათიოდე წლის ბიჭუნა ჩაცუცქებულიყო და ჩალის ღეროებიდან ურიკას აკეთებდა. ეს მოხუცი ხაბახვის შვილიშვილი დაური გახლდათ.

— ნეტა სად დაიკარგა ის ბიჭი. რაიმე ხიფათი ხომ არ შეემთხვა? — მოხუცმა თითები გადათვალა და დასძინა: — აი, უკვე მეხუთე დღეა, შინ არ ყოფილა.

ამ სიტყვებით მიუბრუნდა ხაბახვი ფაცხაში კოკით შემოსულ მეუღლეს.

— აბა, რა ვიცი, სად არის ახლა ჩემი შალოდია, შემოევლოს დედა! ის მენშევიკები თუ რაღაც ოხრები არიან, გაწყდა მათი სახსენებელი, შალოდიამ თქვა, სანამ არ განვდევნით, აფხაზი კაცის საშველი არ იქნებაო, — თქვა ვამსადამ და თვალზე მომდგარი ცრემლი თავსაფრის ბოლოთი მოიწმინდა.

— ბაბუ, ბაბუ, მე დღეს მამა ვნახე, ამხანაგებთან იყო, წელზე ვაზნები ჰქონდა შემოხვეული და აი ამოდენა თოფები ეჭირათ. — ჩაერია ლაპარაკში დაური.

— მერე, საით მიდიოდნენ? როდის მოვალო, არ გითხრა? — შეეკითხა ბებია.

— ახლოს არ მინახავს, მდინარეზე გადადიოდნენ ზემო ფონთან, ალბათ კიღუას სახლში თუ მიდიოდნენ, მინდოდა დამეძახა, მაგრამ მომერიდა, ისინი იქ ხშირად იკრიბებიან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რა იცი? — ჰკითხა ხაბახვმა.

— ვიცი, თხების მოსარეკად რომ დავდიოდი, ვხვდებოდი ხოლმე იქითკენ მიმავალს.

— ღმერთო, როდის მოეღება ბოლო ჩვენს წამებას? სანამ უნდა იხეტიალონ ტყე-ტყე ახალგაზრდებმა ყაჩაღებივით? — ამოიოხრა ვამსადამ.

— ბაბუ, იცი, რომ მენშევიკებს მალე განდევნიან?

— ან ეს რა იცი?

— ვიცი, კერაზელებს ბევრი იარაღი მიუღიათ და მალე მენშევიკებს კუდით ქვას ასროლინებენ. — თავმოწონებით დაუმატა ბიჭუნამ.

— შენ გაიზარდე, შვილო, მაგრამ ხომ გაგიგონია, ,,სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო‘‘. ჩვენც ის ოხრები მანამდე სულს ამოგვართმევენ და!...

— ჰეი, მასპინძელო — გაისმა ღობის გადაღმა და რამდენიმე ცხენოსანი შედგა ჭიშკრის მაგივრად გადებულ ძელებთან. ხაბახვმა გარეთ გაიხედა, იცნო ვინც იყვნენ. მოხუცი დაუპატიჟებელი სტუმრებისაკენ გაეშურა.

— მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო! — შემოიპატიჟა მოხუცმა.

— არა, ვერ შემოვალთ, გვეჩქარება, შენ წამოგვყევი და კილუას სახლის გზა გვასწავლე. — თქვა ერთმა მხედარმა.

— კი, ბატონო, ახლავე, ოღონდ ცოტა მადროვეთ.

აი თურმე, საით უჭირავთ გეზი, ალბათ დაყნოსეს ამ ძაღლებმა, რომ კილუასთან იკრიბებიან კერაზელები, — გაუელვა თავში მოხუცს. უნდა შევატყობინო მათ, მაგრამ როგორ?

— ბაბუ, შენ მათ წაიყვან? იქ ხომ მამა და მისი ამხანაგები არიან, — წასჩურჩულა შეშფოთებულმა დაურიმ, რომელიც ფაცხის კართან მიყუჟულიყო.

— სხვანაირად არ შეიძლება... შენ ხომ იცი მოკლე გზა? — დაურიმ თავი დაუკრა და გაუჩინარდა.

ხაბახვი ფაცხაში შევიდა, თავზე ყაბალახი მოიხვია, აიღო ხელჯოხი და მხედრებთან დაბრუნდა.

— წამობრძანდით, ბატონო, წამობრძანდით! — უთხრა დაუპატიჟებელ სტუმრებს და ლასლასით აუყვა მთის ბილიკს.

აქედან კილუას სახლამდე ნახევარი საათის სავალი გზა იყო, მაგრამ ხაბახს რაც შეიძლება მეტხანს უნდა შეეჩერებინა დამსჯელები, ამიტომ მიჰყავდა ისინი შორი გზით. განგებ მილასლასებდა, ზოგჯერ ფეხი აუცდებოდა, ახველებდა, წყევლიდა თავის სიბერესა და უმწეობას.

კარგა ხნის მერე მივიდნენ იმ ადგილამდე, სადაც ადვილად შეიძლებოდა მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა. უკვე ღამდებოდა.

ხაბახვი შედგა.

— აი, დად, თქვენი ფონიც, — თქვა მან, — გადახვალთ იმ მხარეზე და აუყვებით ბილიკს. იქ არის კილუას სახლი. ამ მხარეში მეტი არავინ ცხოვრობს. მე კი უნდა დავბრუნდე, თორემ ამ სიბნელეში სახლსაც ვერ მივაგნებ.

ბნელოდა, როცა მოხუცი შინ მივიდა. სურვილი კლავდა გაეგო, მოასწრო თუ არა ბავშვმა მამის გაფრთხილება.

— ბიჭი მოვიდა? — დაუძახა ხაბახვმა ცოლს ჭიშკრიდან.

— ბაბუ, მე აქა ვარ! — მოესმა უკან მომავალი შვილიშვილის ხმა.

— როგორ არის საქმე?

— კარგად. ისინი ფაცხაში იყვნენ და რაღაცაზე ბჭობდნენ. როცა გაიგეს, აქეთკენ მენშევიკები მოდიანო, თოფებს დაავლეს ხელი და ტყეს შეაფარეს თავი.

მალე სროლის ხმა გაისმა.

— ისინი არიან, ჩვენები — თვალები გაუბრწყინდა დაურის.

დიდხანს არ დაუძინიათ იმ ღამეს.

გათენებისას შალოდიამ შემოირბინა, რათა მშობლებისათვის ეცნობებინა მტერი გავანადგურეთ, მაგრამ ჯერ შინ ვერ დავბრუნდებითო.

ბრძოლა ჯერ არ იყო დამთავრებული...

აფხაზურიდან თარგმნა
ე. ბენდელიანმა.



ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე

## აფხაზეთი

შენ სალამი, აფხაზეთო,
საქართველოს თაიგულო,
მინდა სულში სანთლად მენთო
და სიცოცხლედ დაგიგულო...
შენი ზღვა და მზის ბრდღვიალი,
ცაზე ვარსკვლავთ განაზება
და ცის ცვარი ლორთქო ფოთლებს
დაკიდული ალმასებად,
შენი მთა და შენი ველი
უცხოელსაც მოჰგვრის ლხენას,
და მიტომაც გიწოდებენ
სილამაზის ცისარტყელას...
დღეს აბრსკილის სამშობლოში
ხარობს შვილი ამირანის...
ხარობს ძმა ძმით და აქ ბედის
უმადური არვინ არის.
შვენის ზეცის სილაჟვარდე
აურაცხელ მერცხალთ ბუდეს
და გაშლილა სხივთა ბადე
მთაწმინდიდან ერცახუმდე...
იმ შორეულ დღეთა თალხი
ნისლებივით გაგფანტვია
და მშრომელი გმირი ხალხის
სიბრძნე გულზე გახატია...
ასჯერ გაგცეს, ასჯერ დაგცეს,
გაიმართე ასჯერ წელში...
და დღეს მნახველს მზერას სტაცებს
ულამაზეს აფსნის ეშხი.
არ უკრთოდი სუსხს და ყინვას,
იმარჯვებდი უვიც მტერზე,
და დღეს ძვირფას თვლებად ბრწყინავ
მზის უნაზეს, მსუბუქ ფრთებზე.
დღეს სიმღერის გიდგას ჯერი,
კვლავ მშვენდები და იზრდები,
სიმღერებად დარჩნენ შენი
საარაკო რაინდები.
სულში შენი მზე დახვავდა,
გულში შენი მთვარე მორცხვობს...
შენ მეორე დედა ხარ და
შენი მკერდი დამელოცოს!

# აფხაზი მხატვარი ქალების შემოქმედება



მარინა ეშბა — ეფრემ ეშბას ძეგლი
სოხუმის პარკში



ვენერა გაგულია — ჩაის მკრეფავები

ოლღა ბუბნოვა — შეკრება ბომბორაში





ვალენტინა ხურხუმალი — მარადისობა



ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „გუნდა".

# მღერის „გუნდა"

ახალგაზრდაა ჩვიდმეტი ქალისაგან შემდგარი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „გუნდა". სულ ორი წლის ისტორია აქვს. მისი წევრებიც — ოცი-ოცდაორი წლის ახალგაზრდები — მუსიკალური ტექნიკუმებისა და კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსამთავრებულნი არიან. ანსამბლი შექმნა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მამია ბერიკაშვილმა.

„გუნდას" რეპერტუარშია ძირითადად ხალხური, ეროვნული, აგრეთვე აფხაზ, ქართველ, რუს და სხვა ხალხთა კომპოზიტორების სიმღერები. ამ ანსამბლებისათვის აფხაზურ ხალხურ ჰანგებს ამუშავებს და მის მოტივებზე მუსიკას წერს თვით მამია ბერიკაშვილი.

ანსამბლი „გუნდა" ხალხური ინსტრუმენტების: აფხიარცას, აირუმას, ახუმას, ადაურის, ბას-აფხიარცას, ჩონგურის და სხვათა პოპულარიზაციას ეწევა. გულშიჩამწვდომად აჟღერებენ მათს სიმებს რ. ჩამაგუა, ს. ავიძბა, ვ. გერზმავა, ნ. ფეიზბა და სხვები.

მრავალფეროვანია ანსამბლის რეპერტუარი. ძველ ხალხურ სიმღერებთან ერთად, ანსამბლი უმღერის საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას, მის თავდადებულ ბრძოლას სამშობლოს დასაცავად, მშობლიური მთა-ველის სიყვარულს, ხალხთა მეგობრობის უდიდეს ძალას... რ. გუმბას „სიმღერა სამშობლოზე", რ. ლაღიძის „მეგობრობა", რუსული ხალხური სიმღერები და სხვები მეტყველებს, რომ „გუნდა" შემოქმედებითი სრულყოფის გზაზეა, ბეჯითი შრომა, პასუხისმგებლობა, საშემსრულებლო ტექნიკის ამაღლებისათვის ბრძოლა მომავალში მისი სრულქმნის საწინდარია. სოლისტების: ზ. ჭანტურიას, ნ. კამკიას, ლ. ჩამაგუას და სხვათა ვოკალური შესაძლებლობა კიდევ უფრო აძლიერებს ამ რწმენას.

სიმღერის სიყვარული, ხელოვნების თაყვანისცემა აერთებს და აკავშირებს სხვადასხვა ეროვნების ქალიშვილებს. მსგავსად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა, ანსამბლი „გუნდაც" მრავალეროვანია, — აფხაზი, ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბერძენი ხმაშეწყობით უმღერიან ადამიანის ნიჭს, უნარს და კეთილ მისწრაფებებს. ანსამბლის ხელმძღვანელი მამია ბერიკაშვილი, რომელსაც ვიცნობთ აფხაზეთის თემაზე ვოკალური და ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის დაწერილი სიმფონიით, პიესებით, ლირიკული სიმღერებით, ასევე ქართული და აფხაზური სპექტაკლებისათვის დაწერილი მუსიკით, ის ენერგიას არ იშურებს ქალთა ამ ახალგაზრდა ანსამბლის შემოქმედებითი დაოსტატებისათვის.

„გუნდამ" სიყვარულისა და პატივისცემის მოხვეჭა უკვე მოასწრო — წარმატებით გამართა კონცერტები სოხუმში, აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში, წარსდგება თბილისელი მსმენელების წინაშე და ახლო მომავალში მოსკოვის საზოგადოებას გააცნობს სიყვარულით გამთბარ აფხაზურ, ქართულ, რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა მუსიკას.

**ეთერ ქაჯაია,**
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ნათელა მამარდაშვილი

## მე მინდა ვიყო

მე მინდა ვიყო ლეგენდა,
მე მინდა ვიყო ზღაპარი...
ერთი პატარა სიმი ვარ
ჩემი ლამაზი მთა-ბარის;

სინაზე შემრჩეს აპრილის,
ღიმილი განთიადისა,
ჩემი ტრფიალის ყვავილი
ნობათად დახვდეს ბადიშსაც.

მე მინდა ვიყო ლეგენდა,
მე მინდა ვიყო ზღაპარი...
ერთი წკრიალა სიმღერა
ჩემი ლამაზი მთა-ბარის.

## რიწა

ხარ მიწიერი იდუმალება —
ბუნების ნიჭი,
ალმაფრენა და
ცად გაფრენა,
სიმაღლე ლურჯი.
რამ შეგქმნა, რიწავ,
ასე ტურფა
და მიმზიდველი, —
მე მინდა ვიყო,
მინდა ვიყო
შენი ლურჯი ცის
ვარსკვლავთმრიცხველი.
ო, შენ თითქოსდა
ოცნება ხარ
და შთაგონება,
და თრთოლვა სულის,
და ფეთქვა გულის.
შენ გემონება,
შენ გემონება
ჩემი ლტოლვა,
ლტოლვა ფიცხელი...
ო, რიწავ, რიწავ,
მე მინდა ვიყო
შენი ლურჯი ცის
ვარსკვლავთმრიცხველი!

გული ზუხბა

## მშიშარა მურადი

გამოეწყო სანადიროდ
თითისხელა მურადი
ვაჟკაცია, ყოჩაღია,
უშიშარი, გულადი.

მაგრამ ეზოს რომ გასცდა,
მოგვიბრუნდა უცებ,
მგელი მომელანდაო,
ხელს იკიდებს გულზე.

## დაგვჭიკჭიკებს სკვინჩა

დიდი კაკლის კენწეროდან
დაგვჭიკჭიკებს სკვინჩა,
ბუდე არ დამინგრიონო
მალხაზმა და ხვიჩამ.



# აქ ყველას მიუხარია

აქ ყველაფერი ადამიანისთვისაა, მისი კეთილდღეობისათვის. ეს ლაჟვარდოვანი ზღვა, ცადაზიდული ხეები, ნაძვის ხეივანში გაწოლილი პარკი. ბუნებას აქ დაუბერტყავს თავისი კალთა სიუხვითა და სიმდიდრით სავსე.

კაცის ხელსა და გონებასაც არაფერი დაუკლია და წალკოტად უქცევია აქაურობა. ფიჭვნარშია ჩაფლული გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, მდიდარი კოლექტიური დასახლება.

მთელს რესპუბლიკაშია ცნობილი ეს მეურნეობა, როგორც ერთერთი მოწინავე და მძლავრი კოლექტივი. ცნობილია მისი დირექტორიც, სოციალისტური შრომის გმირი ვენადი ქირია, უნარიანი და მადლიანი ხელმძღვანელი.

დირექტორის კაბინეტში უამრავი ჯილდო და დროშაა.

მაგრამ მთავარი ჯილდო ისაა, რომ მისი ხალხია კმაყოფილი, მისი კოლექტივია ბედნიერი აქ შრომითა და ცხოვრებით.

„ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა უდიდესი მატერიალური ძალაა დისციპლინის განმტკიცებისათვის".

ამხ. ე. შევარდნაძის ეს სიტყვები თამამად შეიძლება მივუყენოთ გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას.

აფხაზეთის ავტონომიურ და საქართველოს სს რესპუბლიკებში უკვე აღიარებულია, რომ გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ქალის შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხი მაღალ დონეზე დგას.

დავიწყოთ თუნდაც საბავშვო ბაგა-ბაღებიდან. ორი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაგა-ბაღი ემსახურება მეურნეობის მუშათა შვილებს, და უკვე დიდიხანია ბავშვები უფასოდ იკვებებიან მეურნეობიდან მიღებული რძით, რძის ნაწარმით, ხორცით, თაფლითა და ხილით.

ცნობილია ისიც რომ მეურნეობაში უფასო აქვთ კინო, უფასოა აბანო, ბინა, ყოველგვარი ექსკურსიები, უფასოა მოწინავე ქალებისათვის შორეულ რეისებში მოგზაურობა, პროფილაქტორიუმი.

პროფილაქტორიუმის ახალი შენობა მეურნეობის ტერიტორიაზე, ზღვის პირას არის აშენებული. წლის განმავლობაში, ერთი თვე ყველა მუშას შეუძლია უფასოდ დაისვენოს, ისვენებენ მათი ოჯახის წევრებიც. პროფილაქტორიუმის ხელმძღვანელობა ზღვის პირის საგზურებს ხშირად უცვლის წყალტუბოს, ბორჯომის, მინერალური წყლებისა და სხვა კურორტების სანატორიუმებს.

მუშათა დასვენებას ემსახურება აგრეთვე კულტურის სახლი. ქალებს საზრუნავს უმსუბუქებს სასადილოები და მაღაზიები.

მისასალმებელია, რომ მოსავლის აღების დროს სადილები უფასოა ყველასთვის.

მეურნეობას აქვს საკუთარი აფთიაქი, ფოსტა, საშუალო სკოლა.

აქ მცხოვრებთ შორს წასვლა თითქმის არაფერზე სჭირდებათ. ჰყავთ მსხვილფეხა საქონელი, ფუტკარი, აქვთ ხილი. ამიტომ აქ, წლის ყველა დროს, პროდუქტების სიუხვეა, ყოველთვის არის ახალი ხორცი, რძე, რძის ნაწარმი.

ადამიანებისადმი ასეთ მზრუნველობას, მათ სტიმულირებას მოჰყვა შრომის ნაყოფიერების გაზრდა. მუშები თავდაუზოგავად, თავდადებით შრომობენ და შესანიშნავი შრომის დისციპლინა აქვთ.

თერთმეტი წელიწადია გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს ატარებს, ჰყავს 274 კომუნისტური შრომის დამკვრელი და 2 სოციალისტური შრომის გმირი.

„დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ყველგან და ყველაფერში ნიადაგ ვეძიოთ რეზერვები, ფართოდ დავნერგოთ შრომითი პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, რათა მკვეთრად შევამციროთ ხელის შრომის წილი, რომელიც ჯერ კიდევ დიდია ჩვენს სახალხო მეურნეობაში".

ამხ. ე. შევარდნაძის ამ მოწოდებას შესანიშნავად პასუხობს გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მიღწევები.

აქ ორი აგრორაიონია. მათი ძირითადი საქმიანობა ციტრუსების მოვლა და კრეფაა. პლანტაციები ტერასებად არის გაშენებული. წინათ სასუქების შეტანა და ციტრუსების გამოზიდვა ხელით ხდებოდა, ახლა ყველაფერი მექანიზებულია. ტერასებში შეყვანილია მონორელსები, რომელზეც დატ-





ვირთული ყუთები ლაგდება და პირდაპირ დამხარისხებელ საამქროში მიდის; ამან დრო დაზოგა და ხელით შრომა შეამცირა.

ციტრუსების კრეფის დამთავრების შემდეგ იწყება დაფნის გაფცქვნა. დაფნის გაფცქვნაზეც ხელით შრომა მინიმუმამდე დაყვანილი, იგი შეცვალა ბულგარულმა ფრეზებმა (ტრაქტორია, რომელიც რამდენიმე პროცედურას ასრულებს). ბულგარული ფრეზები დაფნის პლანტაციებში რიგთაშორისაც თოხნის, ჭრის კიდევაც და კონებად შეკრული დაფნის ტოტები საშრობ შენობაში გადააქვს. გაშრობის შემდეგ იწყება მისი გაფცქვნა. ეს იოლი საქმეა და ქალები სიამოვნებით შრომობენ. ისინიც, ვისაც მინდორში გარჯა არ შეუძლიათ, აქ მუშაობენ. შემდეგ იწყება ყურძნის, ფეიხოას კრეფა და სხვა სამუშაოები.

აქ ჩამოსვლა, აქ შრომა ყველას მიუხარია. შრომით სემესტრებს აქ ატარებენ მოსკოვის საშუალო სკოლების უფროსკლასელები, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტები, საზღვარგარეთის ქვეყნების (ჩეხები, უნგრელები, ბულგარელები) სტუდენტები.

აქ ადამიანებზე ზრუნავენ, მათ კეთილდღეობაზე ბევრს ფიქრობენ.

ირმა ჩოფიკაშვილი

# გმირი დედა

ბარაქიანი შემოდგომაა ახლა სოფელში. ყურძნის სურნელება იფრქვევა ზვრებში, შრომისმოყვარე ადამიანები რთველისათვის ემზადებიან. ზოია და ალექსანდრე აყიბებს წუთითაც ვერ ნახავთ მოცლილს. მათ კარგახანია თავიანთი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირეს ერთმანეთს. სიყვარულის ნაყოფი — ათი შვილი სიხარულითავსებს ოჯახს, რომლის ბურჯსაც ამ რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გმირი დედის საპატიო წოდება მიენიჭა.

მწვანეში ჩაფლულ ორსართულიან ოდასახლში სიცოცხლის ნამდვილი ზეიმია. მშობლებს მხარში უდგანან შვილები, მეტნაკლებად ყველას შეაქვს წვლილი ოჯახის ძლიერებაში. ზოია ბავშვობიდანვე დაეუფლა ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მიღების „საიდუმლოებას", ჩვეული ტრადიციისამებრ ახლაც ბეჯითად შრომობს და კარგ შედეგებსაც აღწევს. მასზე გაპიროვნებული პლანტაცია კოლმეურნეობაში საუკეთესოა, ქალი კარგად ათავსებს ერთმანეთთან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასა და საოჯახო საქმეებს. თანასოფლელები პატივს სცემენ გმირ დედას, რომელიც ღირსეულ შვილებს უზრდის სამშობლოს.

მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს ორჯონიკიძის კოლმეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დავალება. ამ შრომით გამარჯვებაში სხვებთან ერთად თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ზოია აყიბამაც, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა პირადი გეგმა, წარმატება რომ მოეპოვებინა, დედას შვილებიც დაეხმარნენ.

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა აყიბებმა სახლის აშენება გადაწყვიტეს, ყველამ დახმარების ხელი გაუწოდა. სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა აგური, ხე-ტყე და სახურავი გამოუყო.

ბეჯითი შრომის გასამრჯელოდ ცოლქმარს მნიშვნელოვანი ანაზღაურება აქვს, რითაც ძვირფასი ავეჯი შეიძინეს. ნუ გაგიკვირდებათ, აყიბების ეზოში თუ თვალს მოჰკრავთ მსუბუქ ავტომანქანას. ეს მათ რაიონის ხელმძღვანელობამ გამოუყო. თანასოფლელები ზოია აყიბას სახელმოხვეჭილ მეაბრეშუმედაც იცნობენ.

„შიშ ნანი"... ისმის აკვანთან აფხაზური გულშიჩამწვდომი მელოდია. დედები დღისით თუ ღამით ფხიზლად დგანან სიცოცხლის სადარაჯოზე.

დღეს, როცა მსოფლიოში ბავშვის საერთაშორისო წელიწადი აღინიშნება, დედის, მათ შორის ზოია აყიბას ფიქრი, აზრი და მისწრაფება იქითკენ არის მიმართული, რომ ქვეყანას ნათელი ცა დაჰნათოდეს.

ვ. ცანავა

გუდაუთა. სექტემბერი.

# მისი ბედი



...შავი ზღვის სანაპირო. თაკარა მზე. სოხუმის პლაჟი, როგორც ყოველთვის, სავსეა დამსვენებლებით. ზღვის ტალღების ხმაურსა და ხალხის ჟრიამულში დამსვენებლებამდე აღწევს ბეტონმრევის ხმაური, ამწეების ღრჭიალი, ადამიანთა საქმიანი გადაძახილი, განკარგულებები. ეს ხმაური პლაჟის გვერდით მდებარე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-6 ტრესტის საწარმოო წარმოებათა კომბინატის რკინაბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი პოლიგონიდან ისმის.

პოლიგონის ერთ-ერთ უბანზე მუშაობს მებეტონე ქალთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჭაღარა, ხანში შესული, მაღალი, მკვირცხლი ცხოვრებასა და შრომაში გამობრძმედილი ქალი. მაგრამ იგი მაინც ახალგაზრდულია, ცოცხალი, სხივიანი თვალები აქვს.

უყურებ ამ ქალის მუშაობას და უნებლიეთ 25 წლის წინანდელი სურათი წარმოგიდგება.

თვალუწვდენელი ყუბანის ველები... განთიადიდან შებინდებამდე გაისმის მძლავრი ტრაქტორების გუგუნი, იხვნება ბარაქიანი მიწა, საფუძველი ეყრება კრასნოდარული პურის უხვ მოსავალს. ტრაქტორის საჭეს უზის უბრალო რუსი ქალიშვილი. მტკიცე ხელით, თავის ძალაში დარწმუნებული, მხედარივით მიაგელვებს რკინის მერანს.

არ ეგონა ანა მენჩაკოვას, თუ ყუბანის ვრცელ ველებს შავი ზღვის უკიდეგანო ლურჯ სივრცეზე გასცვლიდა. მაგრამ ბედმა ასე განსაჯა. შეხვდა ადამიანს, გულისსწორს, რომელსაც თავისი მომავალი ცხოვრება დაუკავშირა.

ძნელი იყო განშორება მშობლიურ მხარესთან, ახლობლებთან, თავის ტრაქტორთან. მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. და დაიწყო ახალი ცხოვრება აფხაზეთში, შავი ზღვისპირა ქალაქში.

პირველად მუშაობა დაიწყო სოფელ ბაღმარანის ბეტონამრევ კვანძში, ოთხი წლის შემდეგ კი საწარმოო წარმოებათა კომბინატში გადავიდა. თავიდანვე ინტერესით მოეკიდა სამუშაოს, ითვისებდა ახალ პროფესიებს, ეუფლებოდა მათ საიდუმლოებას, თანდათანობით ოსტატდებოდა და აგერ უკვე თითქმის რვა წელია სათავეში უდგას მებეტონე ქალთა ბრიგადას.

იგი ტოლს არ უდებს მამაკაცებს და სისტემატურად გამარჯვებული გამოდის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ანა მენჩაკოვას ბრიგადაში ოთხი ქალია — პეტრუნია ანტონენკო, მარია მინასიანი, თამარა ხატუიუვა და მარია ლარიონოვა. ყოველ მათგანს აქვს თავისი ხასიათი, მისწრაფება, ოცნება, მაგრამ მთავარი მაინც გულმოდგინე შრომაა. არაერთხელ გამოუწვევიათ მამაკაცთა ბრიგადები შეჯიბრებაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულან. იყო ასეთი შემთხვევაც — სასწრაფო დაკვეთების გამო სამუშაოთა ნაწილის შესრულება მამაკაცთა ბრიგადას დაავალეს, მაგრამ მათ საქმეს თავი ვერ გაართვეს და ისევ ქალებს მოუწია მისი შესრულება.

ძალიან მტკივნეულად განიცდის ანა ჩამორჩენას. ვერ ურიგდება, როდესაც ვინმე უსწრებს მუშაობაში. ამგვარი სულისკვეთებით ზრდის შრომისმოყვარე, ინიციატივიანი და ენთუზიასტი ანა მენჩაკოვა თავისი ბრიგადის წევრებს, ცხოვრებისა და შრომის ასეთსავე ჩვევებს უღვივებს მათ. ამიტომ არის, რომ მისი ბრიგადა ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალ წოდებას, ყოველთვის წარმატებებს აღწევს სახელმწიფო გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, ყოველთვის მოწინავეთა შორის არის.

არიან ადამიანები, რომლებსაც კოლექტივის სინდისს უწოდებენ. სწორად ასეთია ანა მენჩაკოვაც. თავის გოგოებს დედასავით დასტრიალებს თავს. მასზე ამბობენ, ადამიანებთან ლაპარაკის განსაკუთრებული უნარი შესწევსო, — „სწორეთ აკეთებ, კარგია, აბა, სცადე, ასე, შეიძლება უკეთესი გამოდგეს“. და თუ კრებაზე გამოვა, ყველაზე მძიმე, მკაცრი საუბარიც კი შეუძლია ადამიანურ, დამაჯერებელ კალაპოტში ჩააყენოს. გოგოებიც გულს უხსნიან, იგი მათ უგებს, კეთილ რჩევას აძლევს, ამხნევებს. ანა მენჩაკოვა ბევრჯერ აირჩიეს კომბინატის პარტბიუროს წევრად, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ამჟამად არჩეულია საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის წევრად.

...მთავრდება სამუშაო დღე. ქალები აწესრიგებენ სამუშაო ადგილს, საკუთარ თავს. ანა მენჩაკოვაც სახლში მიიჩქარის. შინ მას შვილები, შვილიშვილები ელოდებიან. საოჯახო საქმეებიც უნდა მოასწროს და ასეა ყოველდღე...

ანა მენჩაკოვას ბრიგადის მიერ დამზადებული მაღალხარისხოვანი პროდუქცია — რკინაბეტონის კონსტრუქციები სამშენებლო ობიექტებზე გააქვთ.

ლამაზდება აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, წარმოება-დაწესებულებათა კორპუსები.

სიამაყით შეჰყურებს მათ ანა მენჩაკოვა, რადგან მათ აგებაში დიდია მისი პირადი წვლილი.

ნ. მჭედლიშვილი

# როცა ქალებზე ვზრუნავთ

უსაზღვროდ დიდია მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ქალის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ქალისადმი ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა სსრ კავშირის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციები, სადაც დაკანონებულია ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა.

არ არის სახალხო მეურნეობის არცერთი დარგი, სადაც ქალი ნაყოფიერად და შემოქმედებითად არ მოღვაწეობდეს. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ამჟამად ქალაქ სოხუმში ცხრა ქალი მეცნიერების დოქტორია, 119 კი — მეცნიერებათა კანდიდატი. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა 49 პროცენტი ქალია, საშუალო და უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რაოდენობა 46 პროცენტს აღემატება, სტუდენტთა 50 პროცენტი ქალები გახლავან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე ქალაქ სოხუმში გაფართოვდა და გაუმჯობესდა დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურება, გაიხსნა ბავშვთა ახალი პოლიკლინიკა, ქალთა კონსულტაცია.

ქარხანა „სოხუმხელსაწყომ“, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა, სამკერვალო ფაბრიკამ, გემთშემკეთებელმა ქარხანამ, საკონსერვო და თევზის ქარხნებმა იქ მომუშავე მუშა ქალებს სათანადო პირობები შეუქმნეს ნაყოფიერი შრომისა და დასვენებისათვის.

ქალის შრომის პირობების, მისი მატერიალური უზრუნველყოფის დონის ამაღლების, იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეს ემსახურება ქალაქ სოხუმის ქალთა საბჭო, რომელიც 37 წევრსა და 82 პირველადს ქალთა საბჭოს აერთიანებს. ისინი შექმნილია საწარმო-დაწესებულებებში, ინსტიტუტებში, სკოლებში, სახლმმართველობებში. აქტივისტთა ჯგუფი, 65 მოწინავე ქალის შემადგენლობით, დიდ დახმარებას უწევს საქალაქო საბჭოს.

ქალთა საბჭომ შეადგინა და 1974 წელს გამოსცა „სამახსოვრო“ ქალთა საბჭოების მუშაობის შესახებ, რომელშიც ასახულია ქალთა საბჭოების ძირითადი ამოცანები და მოვალეობა.

ქალაქის ქალთა საბჭოსთან შექმნილია სექციები: კულტურულ-საგანმანათლებლო, მედიცინის, იურიდიული კონსულტაციის, საყოფაცხოვრებო.

ქალთა საბჭო მუშაობს პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით.

წლეულს მოწყობილ სხდომებზე განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და ქალთა საბჭოების ამოცანები: ქალაქის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის მდგომარეობა; ქალის შრომის პირობები სოხუმის ქარხნებსა და ფაბრიკებში; სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შენობის რემონტის მიმდინარეობა; ბავშვის საერთაშორისო წლის ორგანიზებულად მოწყობისათვის დასახულ ღონისძიებათა შესრულება და ქალთა საბჭოს სექციების მუშაობა.

კარგად მუშაობენ ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, ღვინის კომბინატის, სამკერვალო ფაბრიკის, სტამბის, საკონსერვო ქარხნის, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის, კავშირგაბმულობის აფხაზეთის სამმართველოს პირველადი ქალთა საბჭოები.

ბავშვთა საერთაშორისო წლის აღსანიშნავად ქალთა საბჭოს ინიციატივით ქალაქში მოეწყო ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების მეცხრე საქალაქო ოლიმპიადა, მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი; ბავშვთა ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ გამართა დილა — „დაე, მუდამ იყოს მზე!“. საბავშვო ბაღების „ალაშარას“, „ნერგების“ და „ალიონუშკას“ აღსაზრდელთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, მოეწყო საბავშვო მულტიპლიკაციური ფილმების ფესტივალი, ქალაქის ბიბლიოთეკებში და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეწყობა შეხვედრები საბავშვო მწერლებთან, დრამატურგებთან და კომპოზიტორებთან...

ქალაქ სოხუმის მშრომელმა ქალებმა იციან, რომ აფხაზეთის კულტურის შემდგომი განვითარების თაობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებული დადგენილებები ჩვენგან მოითხოვს თავდადებულ შრომას ახალი მიჯნების დასაპყრობად.

**ო. ჟვანია,**
სოხუმის ქალთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე



ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა სოხუმის ქართული დრამატიული თეატრის სპექტაკლიდან ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“. ი. კაკულიას ინსცენირება.



სცენა აფხაზური დრამატიული თეატრის სპექტაკლიდან. ნ. თარბას „მზის ქალიშვილი“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ დაჭაობებული და ნასვენი მიწების ათვისების დაჩქარებისა და პლანტაციათა რწყვის ღონისძიებანი, რათა გაიზარდოს აფხაზეთში სუბტროპიკული კულტურების წარმოება.

„აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან.

# ამორძალთა შთამომავალი

გალის რაიონის გუდავის საშუალო სკოლაში კომკავშირელ გოგონას ხშირად ესმოდა აფხაზეთში პირველი მექანიზატორი ქალის ნაზიბროლა ხასაიას ქება, წიგნებიდან იცოდა, „კარგ საქმეზედა მიბაძვა არარა საძრახისიაო.“ და მეოცნებე ქალიშვილმა გადაწყვიტა მექანიზატორი გამხდარიყო. სკოლა რომ დაამთავრა, აჩიგვარის მექანიზატორთა ერთთვიან კურსებზე მოეწყო. მანქანის მართვის პრაქტიკა ნაზიბროლასთან გაიარა. 1972 წლის იანვარში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაირიცხა. მანქანა „საქართველოთი“ მუშაობა მით უფრო სჭირდებოდა, რომ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკით განემტკიცებინა. მაისში, როცა ჩაის კრეფის სეზონი დაიწყო, მედეამაც თავისი ხომალდით „მწვანე ზღვაში“ შეცურა.

— გამოგიტყდებით, პირველ ხანებში გამიჭირდა, მანქანა ხშირად ჯიქდებოდა. შეკეთებისას ბევრ ჭირის ოფლს ვიწურავდი. ნაზიბროლამ აქაც გამომიწოდა დახმარების ხელი, ზრუნვას არ მაკლებდა.

დრო გადიოდა. ქალიშვილმა ზედმიწევნით შეისწავლა მანქანის რთული მექანიზმის ყველა საიდუმლო და წარმატებაც თავისი ფეხით მოვიდა.

პირველ ხანებში დღეში 600-700 კილოგრამს კრეფდა და ამაყობდა. ახლა ეს სიცილადაც არ ჰყოფნის, დღეში 1-1,2 ტონას თავისუფლად კრეფს.

ნიჭიერმა ქალიშვილმა წლეულს ივნისში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი დაამთავრა, წარმატებით დაიცვა ინჟინერ-მექანიზატორის დიპლომი.

და მაინც ახალგაზრდა მექანიზატორის ცხოვრებაში განსაკუთრებული ნიშანსვეტია 1975 წელი, როცა 40 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა, მთელი 5 ტონით გადააჭარბა გეგმავალდებულებას. ამ წარმატებისათვის ელენე ნატროშვილის პრიზით დაჯილდოვდა.

პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ფართოდ აღნიშნეს ახალგაზრდა მექანიზატორის მედეა ლატარიას შრომითი გამარჯვება.

წარმატებას წარმატება მოჰყვა. შარშან 43 ტონა ჩაის ფოთოლო აწარმოა — 8 ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა, რისთვისაც სახელგანთქმული მექანიზატორის პაშა ანგელინას პრიზი და „საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა. წლეულს დიდი სახელმწიფოებრივი მისიის ასრულება დაეკისრა — მშრომელებმა ნდობა გამოუცხადეს და ახალგაზრდა მექანიზატორი, პარტიის გალის რაიკომის წევრი მედეა ლატარია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. იქ საგრძნობლად გაიზარდა ჩაის ფოთლის წარმოება.

საუცხოოა წლევანდელი გეგმური მაჩვენებლები, როგორც ძირითად, ისე დამხმარე დარგებში.

უკანასკნელ წლებში მეურნეობის ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე არქიტექტურული სტილის, ტევადი და კომფორტული კულტურის სახლი (ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით), სამი თორმეტბინიანი და ორი რვაბინიანი ორსართულიანი საერთო საცხოვრებელი სახლები მუშა-მოსამსახურეთათვის, გაიზარდა საშუალო გამომუშავება, საგრძნობლად გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები.

— მოხარული ვარ, რომ მეურნეობის წინსვლაში ჩემი წვლილიც არის, — ამბობს მედეა. სხვათაშორის, მოსწავლეც მყავს — ლელა ხოჭავა, ლელა გალის პროფსასწავლებელში სწავლობს, ხშირად მოდის ჩემთან, ეუფლება „საქართველოს“ მართვას, ის კარგი მექანიზატორი დადგება.

მედეა გულითადი საუბრის შემდეგ დაგვემშვიდობა და ჩრდილში მიყენებულ მანქანას მიაშურა, „საქართველო“ კვლავ ჩაის პლანტაციის მწვანე ზღვაში შეაცურა.

ამირან მიქაუტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედის სითბოთი გამთბარი ბაღი



ენგელსის ქუჩის ბოლოს, ციტრუსოვანთა ნარგავების მარადიული სიმწვანით შემოსილი მთის ძირას ერთსართულიანი შენობა დგას. შენობას იშვიათი სილამაზის ბაღი აკრავს. კანარის პალმები, ნაზი მიმოზები და სუროშემოხვეული კვიპაროსები, იასამნისფერი ყვავილებით დატვირთული გლიცინიები ზღაპრულ კუთხეს გაგონებთ, ხოლო მსხლის, ვაშლის, ქლიავის ხეებს ჯერ ვერ მოუსწრიათ ახლადდაკრეფილი ხილის სიმძიმისაგან გაზნექილი ტოტების ზეაღმართვა. ამ მიწიერი სამოთხის მფლობელი და ბატონპატრონია 100 პატარა სოხუმელი მოქალაქე, რომლებიც აქ სკოლამდელ ხანას ბედნიერად და უშფოთველად ატარებენ. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, როგორ ცხოვრობენ, რაზე ფიქრობენ, რა აღელვებთ და აკისკისებთ, ან მათს თვალს ზოგჯერ რად მოსწყდება პატარა ცრემლი. ის, რაც საერთოა ბედნიერი საბჭოთა ბავშვებისათვის, ჩანს სოხუმის №11 ბაღის მაგალითზეც. პატარების საზრუნავია თოჯინა, ავტომანქანა, დათუნია, ბაჭია; სათამაშოების სამყაროში ბავშვების სიცილიც, დარდიც, თამაშიც და ბუტიაობაც ხასიათის ის გამოვლინებებია, რომლებზე დაკვირვებითაც აღმზრდელები აქედანვე აყალიბებენ და აძლევენ საჭირო მიმართულებას მომავალი მოქალაქის თვისებებს.



ვინ არ იცის ბამი! და აი, ამ ბაღშიც ამას წინათ მშობლები, მოწვეული სტუმრები ბავშვების თვალით ხედავდნენ როგორ მიმდინარეობდა საუკუნის მშენებლობა. მინიატურულ, ზუსტად 60 კვადრატულ მეტრ ფართობზე, ფანჩატურის ქვეშ, აღმართული იყო ხელოვნური ტყე, გოგონები და ბიჭუნები კაფავდნენ ხეებს, გაჰყავდათ გზა, კუბებისაგან აგებდნენ სახლებს და შიგ თოჯინებს აბინავებდნენ. არ გამორჩენიათ სამკერვალო სახელოსნოები, სადაც ახალმოსახლე ბამელთათვის იქვე, პატარა საკერავი მანქანებით კერავენ ტანსაცმელს. 15 თვითმცლელი ეზიდებოდა საშენ მასალას ბამის სკოლებისათვის და საავადმყოფოებისათვის, ისმოდა შეძახილები, მხიარული ჟღურტული. ყველაზე მორცხვებიც კი ებმებოდნენ თამაშში. უნდა გენახათ პატარა მშენებელთა ჟრიამული, როცა მათი ხელით აწყობილ სათამაშო რკინიგზაზე პირველმა მატარებელმა გაიარა. ბევრ დამსწრეს სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა თვალზე. და ერთსულოვანმა ტაშმა პატარებს ერთხელ კიდევ აგრძნობინა ერთად შენების, სიყვარულის, მეგობრობის ძალა. თანამედროვე მოვლენების თემებზე აგებული მრავალი თამაში ტარდება ბაღში. ბავშვებს ძალიან მოსწონთ „ბიბლიოთეკა“, რომლისთვისაც პატარა წიგნები, ფორმულარები, საკართოთეკო კოლოფებიც კი თვითონ გაუკეთებიათ. ერთი სიტყვით, ყოველი თამაში ისეა გამიზნული, რომ ბავშვებს გამოუმუშავდეთ და განუვითარდეთ კოლექტივიზმის, პასუხისმგებლობის, ურთიერთდახმარების, ინტერნაციონალიზმის გრძნობა. მათი ყოველი თამაშობა წინასწარ გულმოდგინედ არის მოფიქრებული. ბაღის გამგე დინა ტამბია უშუალო მონაწილეობას იღებს სამუშაო გეგმების, ბავშვებზე დაკვირვებათა დღიურების შედგენაში და აღმზრდელთა მუშაობას ისე წარმართავს, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია შემოქმედებითად მიუდგეს თავის საქმეს, სასარგებლო სიახლე დანერგოს, ყოველივე საუკეთესო გადაიღოს სხვისგან და, ასევე, მისი გამოცდილება ყველას საკუთრება გახდეს. ნორჩების მოვლა-აღზრდა მეცნიერული კვლევის დონემდეა აყვანილი.

ბაღში არის ხმოვანი კინოდანადგარი. კინოგაქირავების კანტორიდან მოტანილ მულტფილმებს კვირაში ორჯერ უჩვენებს კინომექანიკოსთა კურსდამთავრებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმზრდელი აიზა თოლორაია, თოჯინების თეატრის დადგმებს თვით ბავშვები ახორციელებენ, მაგნიტოფონებით უსმენენ საბავშვო ოპერებს. ყველა ჯგუფს აქვს საკუთარი ტელევიზორი, ბაღში შექმნილია საბავშვო ორკესტრი, რომლის დირიჟორია 5 წლის ელიზბარ მალიშავა; პატარა შემსრულებლები აწყობენ კონცერტებს მასწავლებელთა სახლში, სახელმწიფო თეატრის სცენაზე, ისინი მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა საღამოებში. ბაღის კოლექტივის მუშაობა შეუმჩნეველი არ რჩება, ხოლო დაგროვილი გამოცდილების დიდ ღირებულებაზე მეტყველებს საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს, საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს და აფხაზეთის განათლების სამინისტროთა დიპლომები, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სახელმწიფო კომიტეტის დიპლომები. თვით დ. ტამბია სხვადასხვა დროს დაჯილდოვებულია გამოფენის ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს მედლებით. ბრინჯაოს მედლები და ფულადი პრემიები მიიღეს ალმზრდელებმა ელენე პოპანდოპულომ და ვერა სტერნიკოვამ. ზედიზედ 14 წელია, რაც გამოფენაზე ეცნობიან სოხუმელთა მიერ ბავშვების შრომითს, ზნეობრივ, ინტერნაციონალურ და ესთეტიკურ აღზრდაში მიღებულ გამოცდილებას. სწორედ ეს გამოცდილება დაედო საფუძვლად დ. ტამბიას სადისერტაციო ნაშრომს — „ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბება ეროვნულ საბავშვო ბაღებში", რომელსაც იგი წლის ბოლოს დაიცავს მოსკოვში.

ბავშვთა შრომითი აღზრდა მოსავლის აღებით გვირგვინდება: მშობლები, ალმზრდელები, ბავშვები ერთად მონაწილეობენ მანდარინის კრეფაში, კრეფა მთავრდება მოსავლის დაბინავებით, ლექსებით, სიმღერებით, იმ მშობელთათვის მადლობის გამოცხადებით, რომლებმაც ბაღის პედაგოგებთან ერთად სწორად წარმართეს შრომითი აღზრდა.

სოხუმის მე-11 ბაღში ფეხადგმულ და დღეს ცხოვრების ფართო გზაზე გასულ ადამიანებს სამუდამოდ გაჰყვათ მშობლიური ბაღის კედლებში მიღებული დედური სითბო. ფოსტალიონს მრავალი წერილი მოაქვს. შორეული ნაოსნობის კაპიტანი სერგეი კონოვალოვი არგენტინიდან აწვდის ხმას დედასავით ტკბილ დინა დეიდას, დოცენტი, ქირურგი ნატაშა სკობლევა ყველა თავისი კარგი თვისებებისთვის ბაღს უთვლის მადლობას, ნახიმოველი ალექსი ბერიანიძე დღესასწაულს ულოცავს ალმზრდელებს.

სწრაფლ იფურცლება დროის კალენდარი. პაწიები ტოვებენ ბაღის კედლებს, მოდიან ახლები, მაგრამ უცვლელი რჩება ზრუნვა და ფიქრი პატარებზე, ჩვენი სიცოცხლის ყვავილებზე.

მ. თოდუა



# როცა საქმის სიყვარული...



სოხუმის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკა მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში 280 ათასზე მეტ შემკვეთს მოემსახურა. მეცხრე და მეათე ხუთწლედში 70 პროცენტით გაიზარდა სოხუმისა და აფხაზეთის სხვა რაიონების მოსახლეობისა და დამსვენებლებისადმი მომსახურება.

ეს ორი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის დაძაბული და მიზანსწრაფული მუშაობის შედეგია.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დირექტივების პასუხად ფაბრიკაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ შარშანდელი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები ჩვენმა საწარმოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა. სოხუმის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სოჭის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკასთან. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც 1978 წელს, ისე 1979 წლის პირველი და მეორე კვარტლების შედეგების მიხედვით ჩვენმა კოლექტივმა გამარჯვება



მოიპოვა სოციალისტურ შეჯიბრებაში. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის, მოგებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმაც დიდი გადაჭარბებით არის განაღდებული.

კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვს № 5 სამკერვალო ატელიეს კოლექტივს (გამგე მ. ფრანგიშვილი), რომელსაც წლევანდელი პირველი და მეორე კვარტალების შედეგების მიხედვით სოჭის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკის გარდამავალი წითელი დროშა, საპატიო სიგელი და ფულადი პრემია გადაეცა.

წლეულს ჩვენი ფაბრიკა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, როგორც სოჭელ კოლეგებთან, ისე სოხუმის ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვისა და აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ავტოსატრანსპორტო კოლექტივებთან.

მუშა ს. ქიაზიმოვა უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობს. ხუთწლედის ოთხი წლის დავალებები ვადამდე შეასრულეს: ი. შმიდტმა, პ. ნაჭყებიამ, ნ. ჩიჩუამ, ნ. სართანიამ, ო. სიდიანმა, ნ. ჩხაპელიამ, ა. ზაიჩენკომ, ლ. გობეჯიშვილმა, გ. ჭკოპოიამ, ვ. მამფორიამ და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოში ბევრი ახალგაზრდა შრომობს. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მათ აღზრდას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ახალგაზრდები იბრძვიან ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

ჩვენს ფაბრიკაში მუშათა ახალი ცვლა განსაკუთრებული მზრუნველობით არის გარემოსილი. შარშან 65 მოსწავლე მოვამზადეთ და ამჟამად ისინი ოსტატებად მუშაობენ. ჩვენი ექვსი გამომჭრელი ლენინგრადის, რიგისა და ლვოვის უმაღლესი მოდელირების კურსებზე იმაღლებს ოსტატობას, ხოლო თხუთმეტი ახალგაზრდა აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სასწავლო საწარმოო კომბინატის კურსებზე სწავლობს.

ახალგაზრდებს კარგი დამრიგებლები ჰყავთ. მათ რიცხვში არიან შრომის ვეტერანები, თავიანთი საქმის ჩინებული ოსტატები: რ. ლუგოვა, ბ. მირიაშვილი, გ. შონია, ზ. როდინა, მ. ფრანგიშვილი, გ. პავლოვა მ. ბასილაია, ჟ. ზარქუა და სხვები. მათი ათობით მოსწავლე პირველი კლასის ოსტატი გახდა. ახალგაზრდები მათგან იღებენ მაგალითს, ისინი ყველას უყვარს.

— აჩუქეთ ადამიანებს სიხარული! — ამ დევიზით მუშაობს საწარმოს კოლექტივი. უკანასკნელ ხანს ჩვენთან მრავალი სიახლე დაინერგა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შეკვეთების მიღებისა და ჩაბარების ორგანიზაცია, შემცირდა პროდუქციის დამზადების ვადა, დაინერგა მომსახურების პროგრესული მეთოდები: შეკვეთების უშუალოდ ოჯახში, სამრეწველო საწარმოებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღება.

შეკვეთებს ვიღებთ აგრეთვე ფაბრიკის სოხუმის მაღაზია-სალონში, ცალკეულ ნაწარმს ვამზადებთ ერთჯერადი მოზომებით, წლის სხვადასხვა დროს სოხუმისა და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რაიონებში ვაწყობთ მოდების სეზონურ დემონსტრირებას.

მოსახლეობას მოეწონა ფაბრიკაში დანერგილი სიახლეები. აქ თქვენივე თანდასწრებით სასწრაფოდ შეგიკეთებენ ტანსაცმელს, უმაღლესი თანრიგის ატელიეში მოგემსახურებათ მხატვარი-მოდელიორი, ტანსაცმელს გაგიახლებენ ქსოვილით, ტყავით, ხელოვნური ყვავილებით, ხელოვნური ტყავისაგან შეგიკერავენ ჟილეტებსა და ჟაკეტებს.

1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წელია. ეს ბევრს ნიშნავს ჩვენი კოლექტივისათვის. სოხუმში დავნერგეთ სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა ტანსაცმლის ახალი სახეობები და მოდელები. მოდელების სახლში მუშაობს ბავშვის ტანსაცმლის მკერავთა სპეციალიზებული ბრიგადა.

ერთი სიტყვით, გვინდა ვუპასუხოთ დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს და მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა სურვილები.

ცაქვა ხონელია

# საკურორტო ვაჭრობა

**ლილი ბგანბა,**
**აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი.**

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მარტო ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების მხარე როდია. იგი საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერაც გახლავთ, სადაც 100-ზე მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, ტურისტული ბაზა და კემპინგია. მათში ერთდროულად 30 ათასი კაცი ისვენებს. თუ ამას ეგრეთწოდებულ არაორგანიზებულ დამსვენებლებსაც დავუმატებთ, მათი რიცხვი წელიწადში ორმილიონ კაცს აჭარბებს.

დღეისათვის აფხაზეთში, ვაჭრობის დარგში 14 ათასი კაცი მუშაობს, მათ შორის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში — 7,5 ათასი კაცი. უკანასკნელ წლებში, ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ვაჭრობის მუშაკებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საქონელბრუნვის ზრდის, სავაჭრო ქსელის განვითარებისა და გაფართოების, ვაჭრობის პროგრესული ფორმების დანერგვის მხრივ და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

მეათე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში საქონელბრუნვის ზრდამ 70 მილიონი მანეთი ანუ 18,1 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში — 14,5 პროცენტი.

გაიზარდა საზოგადოებრივი კვების ბრუნვის მოცულობაც, რამაც 12,1 მილიონი მანეთი, ანუ 19,9 პროცენტი შეადგინა. ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მეათე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადსა და 6 თვეში ზეგეგმურმა ბრუნვამ 10,6 მილიონი მანეთი შეადგინა. შესაბამისად გაიზარდა სავაჭრო ქსელის ფართობი — 3,5 ათასი კვადრატული მეტრით და 2,8 ათასი დასაჯდომი ადგილით. კაპიტალდაბანდებათა თანხამ 6,5 მილიონი მანეთი შეადგინა. შეძენილია 1,4 მილიონი მანეთის სავაჭრო-ტექნოლოგიური, სამაცივრო დანადგარები.

მეათე ხუთწლედში ახალი უნივერსამები გაიხსნა გაგრასა და სოხუმში (თითოეული 1000 კვადრატული მეტრი ფართობით), მწყობრში ჩადგა საკოლმეურნეო ბაზარი ქ. გაგრაში, სავაჭრო ცენტრი ყოლქვარაში (700 დასაჯდომი ადგილითა და 465 კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობით), აგრეთვე ეროვნული სტილის საზოგადოებრივი კვების მრავალი ობიექტი რიწის ტბაზე, გაგრაში, განთიადსა და სხვა ადგილებში.

სავაჭრო დარგის მუშაკთა წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში დიდი როლი აკისრიათ ჩვენს სახელოვან ქალებს, რომელთა რაოდენობა ვაჭრობის ქსელში დღეისათვის 10 ათასს აღწევს, მათ შორის აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულია 5.688 ქალი, ანუ საერთო მუშაკთა 71,1 პროცენტი.

კარგი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიხვეჭეს თავიანთ კოლექტივებში საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებულმა მუშაკებმა კ. კასპარინმა, ვ. ივანიშვილმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ეკონომისტმა გ. პიკუნოვამ და სხვებმა. ვაჭრობის ქსელში დღეს შრომობს „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის მქონე 79 მუშაკი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული 142 კაცი და 254 კომუნისტური შრომის დამკვრელი.

აი კომუნისტური შრომის ერთ-ერთი საწარმო — სოხუმის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის № 1 ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიის მაღაზია. მის კოლექტივში 38 მუშაკია, მათ შორის 28 ქალია. ყველა მათგანს „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ საპატიო წოდება აქვს მინიჭებული. მაღაზიის კოლექტივი ყოველწლიურად რიტმულად ასრულებს გეგმებსაც, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებსაც და, ამიტომაც არის, რომ იქ სავაჭრო წესები არ ირღვევა. მაღაზიამ ხუთწლედის გან-

ვლილ პერიოდში საქონელბრუნვის გეგმა 106,7 პროცენტით შესრულა, ხოლო საკუთარი პროდუქციის გამოშვებისა — 102,4 პროცენტით.

ეს კოლექტივი ბევრჯერ იყო დაჯილდოებული ფულადი პრემიებით, გამარჯვებული გამოდიოდა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც რამდენჯერმე გადაეცა საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის, აგრეთვე საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის საოლქო პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, ასევე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები. მასვე მიღებული აქვს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსი და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

კომუნისტური შრომის კოლექტივში — სოხუმსურსათვაჭრობის № 3 გასტრონომში 40 კაცი შრომობს, მათგან 35 ქალია. 1979 წელს 32 ქალს მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო სისტემაში დიდი განვითარება ჰპოვა დამრიგებლობამ. 224 დამრიგებლიდან 117 ქალია. სოხუმსურსათვაჭრობის უფროსი გამყიდველი, შრომის ვეტერანი ხიკურ შაკაია 25 წელია ვაჭრობის საპატიო საქმეს ემსახურება, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით. გუდაუთის კურორტვაჭრობის უფროსი გამყიდველი მერი ჭედია „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით არის დაჯილდოებული. მის მკერდს „საპატიო ნიშნის" ორდენი ამშვენებს. მერი ჭედია არჩეულია გუდაუთის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ასევე კარგი დამრიგებლის რეპუტაცია აქვთ მოხვეჭილი გაგრის საზკვების ტრესტის სასადილოს მზარეულს, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანს პოლინა ბორუტენკოს, სოხუმის მრეწვვაჭრობის მუშაკებს სულიკო ლექვეტაძეს, კნარა კასპარიანს, მარინე აბრამიას, გაგრის კურორტვაჭრობიდან — ალექსანდრა ხურცილავას, ზინაიდა აძინბას, ევგენია პონომარენკოს და სხვებს.

ბევრი ქალია დაწინაურებული ხელმძღვანელ, პასუხსაგებ თანამდებობაზე. მაგალითად, გაგრის კურორტვაჭრობას სათავეში უდგას სვეტლანა ღურწკაია, გაგრის საზკვების ტრესტს ხელმძღვანელობს ნატრული გეგეჭკორი, საქფეხსაცმელვაჭრობის აფხაზეთის საბითუმო ბაზის მმართველია რიმა თარბა, რესტორან „თბილისის" (სოხუმის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტი) დირექტორია ელენე ქირია, ვაჭრობის სამინისტროს აპარატში ერთ-ერთ სამმართველოს ტატიანა ჭკადუა ხელმძღვანელობს, ხოლო განყოფილებებს — მარია ბარდაშევა და ვენერა ზვამბაია.

ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად ბევრი პრაქტიკული ღონისძიება გვაქვს განხორციელებული. და აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ჩვენმა ქალებმა — შრომის მოწინავეებმა, კომკავშირელებმა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ამბობდა, რომ უნდა მივაღწიოთ მთელი საზოგადოების უმაღლეს აქტივიზაციას, მთელი მოსახლეობა უნდა დავრაზმოთ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, ადამიანთა მომსახურებაში კერძომესაკუთრული ტენდენციების, ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის დარგის მუშაკები კვლავაც არ დაიშურებენ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას, რათა პირნათლად შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, მეათე ხუთწლედის ამოცანები.

### გასწორება

1979 წლის № 10 ჟურნალ „საქართველოს ქალის" მე-7 გვერდის პირველი სვეტის მე-45 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „ქალაქის სამრეწველო დაწესებულებებმა გამოუშვეს ზეგეგმითი 11 მილიონ 700-ათასი მანეთის პროდუქცია.

## აფხაზურა

500 გრამი ცხვრის ხორცი დაჭერით პატარ-პატარა ნაჭრებად, ასევე დაჭერით 300 გრამი ღვიძლი. ყველაფერი ეს მოათავსეთ ტაფაზე, მოაყარეთ მარილი და კარგად შეწვით. საჭიროებისამებრ შეწვისას დაუმატეთ დაკეპილი დუმა, სუფრაზე მიტანისას შეურიეთ აჯიკა, მოაყარეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი და ბროწეულის მარცვლები.

## ხორცი ბადექონში

გარეცხილი, გასუფთავებული ცხვრის ბადექონი დაალბეთ წყალში 30-40 წუთს. შემდეგ ისევ კარგად გარეცხეთ და გაამშრალეთ. 500 გრამი ცხვრის რბილი, მსუქანი ხორცი და 4 თავი ხახვი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაკეპილ ხორცს დაუმატეთ დანაყილი წიწაკა, ნიორი, წვრილად დაჭრილი ქინძი, მარილი, 1 ცალი გათქვეფილი კვერცხი და კარგად აურიეთ. ამის შემდეგ ფრთხილად შეურიეთ მჟავე ბროწეულის მარცვლები. ბადექონი დაჭერით 4—5 ნაჭრად. თითოეულ ნაჭერზე მოათავსეთ გამზადებული ხორცი და შეწვით უცხიმოდ. ერთი მხარე, რომ შეიწვება გადააბრუნეთ და შეწვით მეორე მხრიდან. აღნიშნული მასალა შეიძლება შამფურზეც შეიწვას, ოღონდ მაშინ საჭიროა ძაფით დამაგრება, რომ შეწვის დროს არ ჩაიშალოს.

## შამფურზე შემწვარი გულ-ღვიძლი

ცხვრის ან ბატკნის ღვიძლი, გული, ფილტვები, თირკმლები კარგად გარეცხეთ, დაჭერით დიდ ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, დანაყილი წიწაკა, სუნელი, თუ გსურთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, აურიეთ და ცოტა ხანს გააჩერეთ. შემდეგ ააგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერჩხლებზე. როცა ცოტათი შეწითლდება, მთლიანად შემოახვიეთ მისივე შიგნეულის ბადექონი (წინასწარ გარეცხილი). შემოაკარით წმინდა კანაფი, მოაყარეთ მარილი და თავი და ბოლო დაუმაგრეთ შამფურზე. შეწვით ნაკვერჩხლებზე.

თ. სულაქველიძე.

გარეკანის პირველ გვერდზე: „ოდა სამშობლოს". მხატვარი დემურ ბაშელეიშვილი. მეოთხეზე — სოხუმის პარკში. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. განძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ქლენტი, ნ. ზალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/X-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XI-79 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 126.000. შეკვ. 2524. უე 00838. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გალის საბავშვო ბიბლიოთეკაში



ახალი ათონის მიდამოებში

ИНДЕКС 76178

